პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 259 (19401) ◆ შაბათი, 9 ნოემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 4 კაპ.

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი. პროექტი მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმმა და მისი გადაწყვეტილების შესაბამისად გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ძირითად მიმართულებათა პროექტზე მსჯელობის შედეგები გათვალისწინებული იქნება სკკპ XXVII ყრილობაზე საბოლოო განხილვისა და დამტკიცების დროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

# პ რ ო ე ქ ტ ი

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

**ჩვენმა** ქვეყანამ ისტორიულად მოკლე ვადაში დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და მიაღწია საზოგადოებრივი პროგრესის მწვერვალებს, მოიპოვა უთვალსაჩინოესი წარმატებანი ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა საზოგადოებას განვითარებული სოციალიზმის ეტაპი დაუდგა.

საბჭოთა ადამიანების თაობათა გარჯით შეიქმნა მძლავრი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პოტენციალი. დღეს სსრ კავშირს ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, აქვს მძლავრი ინდუსტრია, ძლიერი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ყოველმხრივ განვითარებული ინფრასტრუქტურა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მრავალი მიმართულებით ჩვენს ქვეყანას წამყვანი პოზიციები უკავია მსოფლიოში. გამუდმებით უმჯობესდება მოსახლეობის კეთილდღეობა, იხვეწება სოციალისტური ცხოვრების წესი, სულ უფრო სრულად ხორციელდება სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი კრიზისები, სიღატაკე და უმუშევრობა, კლასობრივი და ეროვნული მტრობა. დამკვიდრდა ადამიანთა თანასწორუფლებიანობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, ნამდვილი დემოკრატია. სულ უფრო სრულად ვლინდება მეურნეობის გეგმიანი სისტემის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის უპირატესობანი, მშრომელი მასების შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მტკიცდება მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა — მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბურჯი.

კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს, მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს სოციალიზმის სრულყოფის, კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის გზით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის საფუძველზე.

სსრ კავშირის 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მიზნების რეალიზაციის კონკრეტულ საგეგმო დავალებებს.

## I. ქვეყნის 1981-1985 წლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი შედეგები

**სკკპ** XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესში ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლების, ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების გზით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. ეროვნული შემოსავალი 1980 წელთან შედარებით გადიდდა 17 პროცენტით. სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, საცხოვრებელი ბინების, სოციალურ-კულტურული და სხვა ობიექტების მშენებლობას მოხმარდა 840 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება. ამოქმედდა ათასზე მეტი ახალი თანამედროვე სამრეწველო საწარმო.

გააქტიურდა მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის. ათვისებულია 19 ათასზე მეტი ახალი სახეობის მანქანა-მოწყობილობის, აპარატებისა და ხელსაწყოების გამოშვება. უფრო ფართოდ ინერგება მცირენარჩენიანი და უნარჩენო, ენერგიისა და მასალის დამზოგველი ტექნოლოგიური პროცესები და მანქანათა სისტემები.

დადებითი შედეგებია მიღწეული წარმოების ინტენსიფიკაციაში, ეფექტიანობის გადიდებაში. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების თითქმის 90 პროცენტი. გაუმჯობესდა საწარმოო დისციპლინა, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები. უფრო მომჭირნედ გამოიყენება მატერიალური რესურსები.

კიდევ უფრო განვითარდა ეკონომიკის წამყვანი დარგი — მრეწველობა. მისი პროდუქციის მატებამ შეადგინა 20 პროცენტი. მოხმარების საგნების წარმოება („ბ" ჯგუფი) წარმოების საშუალებათა გამოშვებაზე უფრო სწრაფად იზრდებოდა.

სრულდება სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამა. დაჩქარებით ვითარდებოდა ატომური ენერგეტიკა, რომლის წილადაც მოდის ქვეყანაში გამომუშავებული მთელი ელექტროენერგიის მეათედი. საბჭოთა კავშირი, რომელსაც აქამდე პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში ნავთობის მოპოვების მხრივ, მიმდინარე ხუთწლედში ამავე ადგილზე გავიდა გაზის მოპოვებითაც. აშენდა მაგისტრალური გაზსადენები და მათი განშტოებანი, რომელთა საერთო სიგრძე 48 ათას კილომეტრს შეადგენს.

განუხრელად ხორციელდებოდა პარტიის აგრარული პოლიტიკა, თანამიმდევრულად სრულდებოდა სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას მოხმარდა მთელი კაპიტალური დაბანდების მესამედი. მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. ვითარდება საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა დამხმარე სასოფლო მეურნეობანი. სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა სოფლად საცხოვრებელი ბინებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობა.

გადიდდა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით და მიაღწია 131 მილიარდ მანეთს. ხორცის წარმოება მეათე ხუთწლედთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით, კვერცხისა—18 პროცენტით. მნიშვნელოვნად იმატა ბოსტნეულისა და ხილის მოსავლიანობამ.

ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 15 პროცენტით. გაიხსნა მატარებლების სამუშაო მოძრაობა ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებისათვის.

ეკონომიკის აღმავლობისა და ეფექტიანობის ზრდის საფუძველზე ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გადიდდა 11 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 13 პროცენტით მოიმატა და 1985 წელს 190 მანეთს მიაღწია. საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 29 პროცენტით გადიდდა და თვეში 150 მანეთს აღემატება.

დიდმნიშვნელოვანი ცენტრალიზებული ღონისძიებანი განხორციელდა შრომის ანაზღაურების დარგში. მოემატათ ხელფასი ქვანახშირის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეებს, სოფლის მეურნეობის მშრომელთა მნიშვნელოვან ნაწილს. ხორციელდება სახალხო განათლების მუშაკთა ხელფასის გადიდების დასახული ღონისძიებანი. მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელ რიგ კატეგორიათა მუშაკებს დაუწესდათ დამატებითი შეღავათები. რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტზე, საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებსა და ზოგიერთ სხვა დარგში შემოღებულია ანაზღაურება წელთა ნამსახურობისათვის. ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად 20 მილიონზე მეტ კაცს გაუდიდდა შრომის ანაზღაურება.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლები და შეღავათები გადიდდა 25 პროცენტით და 1985 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგინა დაახლოებით 530 მანეთი.

გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. გაუდიდდათ მინიმალური ოდენობის პენსია მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს. მოემატა პენსიები იმ მუშა-მოსამსახურეთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დამსახურებულ დასვენებაზე გადავიდნენ 10 წელიწადზე მეტი ხნის წინ. შემოღებულია პენსიის დამატებითი სართი უწყვეტი მუშაობის სტაჟისათვის.

რეალიზებულია ბავშვიანი ოჯახებისა და მომუშავე დედების დახმარების დიდი ღონისძიებანი. დედებისათვის შემოღებულია ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ერთ წლამდე ასაკის შვილის მოსავლელად, გაიზარდა ერთდროული დახმარება შვილის დაბადების გამო.

გადიდდა კვების ხარჯის ნორმები სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებსა და სკოლა-ინტერნატებში. შემოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა უფასო უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით.

ყოველწლიურად მიმდინარეობდა წინათ მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხების დაფარვა.

უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება ბევრ საქონელსა და მომსახურებაზე. გადიდდა ბოსტნეულის, ხილის, კვერცხის, ხორცისა და კვებისათვის სხვა ყველაზე საჭირო პროდუქტების მოხმარება. საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 16 პროცენტით, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაფართოვდა მესამედით.

თანამიმდევრულად წყდება საბინაო პრობლემა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 550 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის სახლები, რის მეოხებითაც საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესა 50 მილიონზე მეტმა კაცმა. ამაღლდა საცხოვრებელი ბინის კეთილმოწყობის დონე.

გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, დასვენების პირობები. განხორციელდა გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

ვითარდებოდა სახალხო განათლების სისტემა, დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელება.

განვითარდა კულტურა და ხელოვნება. იხვეწებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების საქმიანობა.

გეგმაზომიერად იზრდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკა, გადიდდა ყოველი მათგანის წვლილი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში. გრძელდებოდა მსხვილი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების ფორმირება და განვითარება. დაჩქარებით მიმდინარეობდა ქვეყნის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება. ნავთობის საერთო-საკავშირო მოპოვების ორ მესამედს და გაზის — ნახევარზე მეტს ახლა დასავლეთი ციმბირი იძლევა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მართვისა და მეურნეობრიობის სრულყოფის, დისციპლინის, ორგანიზებულობის განმტკიცების ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში ხორციელდებოდა ეკონომიკური ექსპერიმენტები, რომელთა მიზანია გაფართოვდეს გაერთიანებებისა და საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა, მიღწეულ იქნეს ამ საფუძველზე წარმოების უკეთესი საბოლოო შედეგები. მტკიცდება სამეურნეო ანგარიში. გავრცელდა შრომის კოლექტიური ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმები და მეთოდები, უწინარეს ყოვლისა, ისეთები, რომლებიც ბრიგადულ იჯარაზეა დაფუძნებული.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში გაძლიერდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის როლი. გაფართოვდა მშრომელთა მონაწილეობა მართვაში, მიღებულია და ხორციელდება სსრ კავშირის შრომითი კოლექტივების კანონი. გაიზარდა მასების შრომითი აქტიურობა, იხვეწებოდა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

ჩვენი ქვეყანა სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო შრომის დანაწილებაში. მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, გაღრმავდა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია. ხორციელდებოდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

გაიზარდა საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, გაფართოვდა ეკონომიკური ურთიერთობა. ამჟამად სსრ კავშირს სავაჭრო ურთიერთობა აქვს 145 ქვეყანასთან.

ამასთანავე სახალხო მეურნეობაში შენელდა განვითარების ტემპი, სუსტად ხორციელდებოდა წარმოების ინტენსიფიკაცია, წარმოების, მართვისა და მეურნეობრიობის სტრუქტურის გარდაქმნა. არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისება წარმოებაში. ბევრი ნაწარმის, მათ შორის, სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკური დონე და ხარისხი ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. იყო პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევები. ზოგიერთმა რესპუბლიკამ, სამინისტრომ, გაერთიანებამ და საწარმომ ვერ მიაღწიეს წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციისა და სამუშაოთა თვითღირებულების, მატერიალური რესურსების დაზოგვის, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების ხუთწლიანი გეგმით დასახულ მიჯნებს. არის სიძნელეები ცალკეული საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მოცულობა დაგეგმილზე ნაკლები იყო, რამაც მოითხოვა გამოძებნილიყო დამატებითი საექსპორტო რესურსები და სავალუტო სახსრები სასურსათო საქონლის იმპორტისათვის.

საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამო სსრ კავშირი იძულებული იყო განეხორციელებინა დამატებითი ღონისძიებანი თავდაცვისუნარიანობის ჯეროვან დონეზე შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველეყო ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება.

მთლიანად, განვლილი ხუთწლეულის შედეგები მოწმობს, რომ ჩვენმა ქვეყანამ წაიწია წინ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით.

## II. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები

**თხუთმეტწლეული**, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იწყებს, დიდმნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდია სოციალიზმის სრულყოფის, კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

**პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზანი იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. მომავალ პერიოდში ამ მიზნის რეალიზაცია მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე.** მოგვიწევს თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა, კარდინალურად დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უზრუნველვყოთ სწრაფი წინსვლა ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებით, შევქმნათ საწარმოო პოტენციალი, რომელიც თავისი მასშტაბით მთელ წინა წლებში დაგროვილი პოტენციალის ტოლი იქნება.

აქედან გამომდინარე, 2000 წლამდე უნდა:

**უზრუნველვყოთ მოსახლეობის ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება, ღრმა ცვლილებები შრომის სფეროსა და ადამიანთა ცხოვრების პირობებში.** გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების სოციალური ორიენტაცია, მისი მიმართულობა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, სოციალისტური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.

განვახორციელოთ ფართო სოციალური პროგრამა. გავზარდოთ რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1,6-1,8-ჯერ.

ავამაღლოთ კეთილსინდისიერი, მაღალხარისხოვანი შრომის, პროფესიული ოსტატობის საზოგადოებრივი პრესტიჟი. შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე გავადიდოთ შრომის ანაზღაურება და სრულვყოთ ამ ანაზღაურების ფორმები. უპირველესი ყურადღება დავუთმოთ შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მორალური წახალისების გაძლიერებას. უფრო აქტიურად გამოვუმუშაოთ ყოველ ადამიანს საერთო კეთილდღეობისათვის კეთილსინდისიერი მუშაობის საჭიროების შეგნება, საზოგადოების წინაშე შრომის შედეგებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა.

უზრუნველვყოთ მოსახლეობის სრული და რაციონალური დასაქმება. არსებითად გავაუმჯობესოთ შრომის პირობები, მივაღწიოთ ხელშრომის უფრო სწრაფ შემცირებას და დავიყვანოთ მისი წილი წარმოების სფეროში 15-20 პროცენტამდე. გავაფართოოთ შესაძლებლობანი ყველა მოქალაქის შემოქმედებითი უნარის განვითარება-გამოყენებისათვის.

უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილება მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებაზე. მნიშვნელოვანი წრის სახეობათა საქონლის მიხედვით მივაღწიოთ, ხოლო დანარჩენ სახეობათა მიხედვით მჭიდროდ მივუახლოვდეთ კვების პროდუქტებისა და ძირითადი არასასურსათო საქონლის რაციონალური მოხმარების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დონეს. გავზარდოთ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა დაახლოებით 1,8-ჯერ. შევქმნათ დიდად განვითარებული მომსახურების ინდუსტრია, მკვეთრად შევამციროთ ამ საფუძველზე საოჯახო მეურნეობის გაძღოლაზე გაწეული შრომის დანახარჯები. ხელი შევუწყოთ მოხმარების კულტურის ამაღლებას, გონივრული მოთხოვნილების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეესაბამება სოციალისტური ცხოვრების წესს და შეეფერება პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, ადამიანის ამაღლებულ სულიერ მოთხოვნილებათა გამომუშავებას.

თანამიმდევრულად ვწყვეტდეთ პრაქტიკულად თითოეული ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს სოციალურ ამოცანას. საექსპლოატაციოდ გადავცეთ სულ ცოტა 2 მილი-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ბრდი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გავაუმჯობესოთ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, საბინაო ფონდის დაცვა-შენახვა.

განვაგრძოთ გეზი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების დაჩქარებული ზრდისათვის, რომლებიც უფასო სახალხო განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფოებრივ სისტემათა შემდგომი განვითარების, მშრომელთა დასვენების პირობების გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. გავზარდოთ ამ ფონდების მოცულობა დაახლოებით 2-ჯერ.

განვახორციელოთ დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც უფრო სრულად გაითვალისწინებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების თავისებურებებს. ყოველი ღონით შევუწყოთ ხელი მოსახლეობის სიცოცხლისა და შრომითი აქტიურობის ხანგრძლივობის გადიდებას, ოჯახის განმტკიცებას, მოზარდი თაობის აღზრდის, შრომითს და საზოგადო საქმიანობაში ქალთა აქტიურ მონაწილეობასთან დედობის შეხამების უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას. გავაფართოოთ და სრულვყოთ ბავშვიანი ოჯახებისა და ახალგაზრდა ოჯახების სახელმწიფო დახმარება.

ავამაღლოთ ომისა და შრომის ვეტერანთა, ხანდაზმულ მოქალაქეთა, ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. შევუქმნათ მუშაობის მოსურნე საპენსიო ასაკის პირთ საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის უფრო ხელშემწყობი პირობები. სრულვყოთ საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, კერძოდ, მინიმალური ოდენობის პენსიების გადიდების, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის პირობებისა და დონეების თანდათან დაახლოების გზით.

განვახორციელოთ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟების ღონისძიებათა სისტემა. განუხრელად გავაუმჯობესოთ სამედიცინო მომსახურების ხარისხი, განვახორციელოთ მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციაზე გადასვლა. გავაძლიეროთ დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებანი. დაჩქარებით განვავითაროთ ჯანდაცვის დაწესებულებების, აგრეთვე სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურიზმის ორგანიზაციების ქსელი, ავამაღლოთ ამ დაწესებულებებში მომსახურების დონე.

უზრუნველვყოთ მოსახლეობის განათლებისა და კულტურის აღმავლობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მისი სულიერი მოთხოვნილებანი. გავაძლიეროთ საბჭოთა ადამიანების, მეტადრე ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა. უფრო აქტიურად წარვმართოთ მუშაობა, რათა შევინარჩუნოთ და ვამრავლოთ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, დავიცვათ სამამულო და მსოფლიო ისტორიისა და კულტურის ძეგლები.

სრულვყოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა, განვავითაროთ საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება. გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული ახალი სპეციალობებით.

გავაუმჯობესოთ ყველა კატეგორიის მოსახლეობის დასვენების ფორმები და ორგანიზაცია. გავადიდოთ ფასიან შვებულებათა ხანგრძლივობა მუშაკის შრომითი წვლილის ზრდის გათვალისწინებით. ფართოდ განვავითაროთ კოლექტიური მებაღეობა და მებოსტნეობა.

წავახალისოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარება, ხელი შევუწყოთ მათს საყოველთაო დანერგვას ყოფა-ცხოვრებაში.

გულმოდგინედ ვიმუშაოთ გარემოს დასაცავად.

**გადავიყვანოთ წარმოება უპირატესად ინტენსიური გზით განვითარებაზე, მივაღწიოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების კარდინალურ გადიდებას და ამ საფუძველზე დავაჩქაროთ ეკონომიკური ზრდის ტემპი.** გავადიდოთ ქვეყნის ეროვნული შემოსავალი თითქმის 2-ჯერ.

უზრუნველვყოთ ეროვნული შემოსავლისა და მატერიალური წარმოების ყველა დარგის პროდუქციის მატება მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. გავადიდოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 2,3-2,5-ჯერ, გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი იმ საპროგრამო ამოცანის განსახორციელებლად, რომ მივაღწიოთ ამ მაჩვენებლის მიხედვით უმაღლეს მსოფლიო დონეს.

თანამიმდევრულად გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი, რომელიც წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. გადავაქციოთ რესურსდამზოგველობა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ. მივაღწიოთ, რომ სათბობზე, ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალაზე არსებული მოთხოვნილების მატება 75-80 პროცენტით კმაყოფილდებოდეს მათი ეკონომიის გზით. შევამციროთ ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა სულ ცოტა 1,4-ჯერ და ლითონტევადობა — თითქმის 2-ჯერ. კომპლექსურად გამოვიყენოთ ბუნებრივი და მატერიალური რესურსები, მაქსიმალურად აღმოვფხვრათ დანაკარგები და არარაციონალური ხარჯები. უფრო ფართოდ მოვაქციოთ სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსები, აგრეთვე თანამდევი პროდუქტები.

გავადიდოთ კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა, თავი მოვუყაროთ მას პრიორიტეტული მიმართულებებით, და, უწინარეს ყოვლისა, მოვახმაროთ ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებას, არსებითად გავზარდოთ იმ სახსრების წილი, რომლებიც ხმარდება საწარმოთა ტექნიკურ განახლებას და რეკონსტრუქციას, შევამციროთ კაპიტალური დაბანდების ნაზღაურობის ვადები.

გავაუმჯობესოთ საწარმოო ძირითადი ფონდების გამოყენება, უზრუნველვყოთ სიმძლავრეებისა და მოწყობილობის სრული დატვირთვა, მივაღწიოთ ფონდუკუგების ზრდას.

**უზრუნველვყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველნაირი დაჩქარება, მისი შედეგების საყოველთაო გამოყენება წარმოებასა და მართვაში, მომსახურების სფეროსა და ყოფა-ცხოვრებაში.**

გავიყვანოთ სახალხო მეურნეობა მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოწინავე მიჯნებზე. უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელების სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ფორმები და მეთოდები. გავაძლიეროთ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია, გავაუმჯობესოთ მეცნიერული აღმოჩენების, ტექნიკური სიახლეებისა და გამოგონებების ორგანიზაცია და შევამციროთ მათი შემუშავებისა და ათვისების ვადები სახალხო მეურნეობაში.

გავუტოლოთ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი საუკეთესო სამამულო და მსოფლიო მიღწევების დონეს.

უზრუნველვყოთ ქვეყნის **ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის** დინამიკური და პროპორციული განვითარება და ყველა რგოლის ეფექტიანი თანამოქმედება. განვახორციელოთ პროგრესული ძვრები სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში.

უპირატესი ტემპით განვავითაროთ დარგები და წარმოებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას.

გავზარდოთ მრეწველობის პროდუქციის გამოშვება სულ ცოტა 2-ჯერ.

განუხრელად განვამტკიცოთ მძიმე ინდუსტრია — ქვეყნის ეკონომიკის საძირკველი, წარმოების საშუალებებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საფუძველი.

მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ მანქანათმშენებლობის განვითარება. განვახორციელოთ გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონის ძირეული ამაღლება. უზრუნველვყოთ ახალ თაობათა ტექნიკის შექმნა და წარმოების ათვისება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მრავალგზის გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და არსებითად შევამციროთ მატერიალური დანახარჯები. განვამტკიცოთ მანქანათსაშენებელი წარმოების მატერიალური და მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა.

ეფექტიანად განვავითაროთ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, განვახორციელოთ სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამა. ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით გავზარდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება ატომურ ელსადგურებში სულ ცოტა 5-7-ჯერ და გაზის მოპოვება — 1,6-1,8-ჯერ. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ენერგიის არატრადიციული განახლებადი წყაროები.

უზრუნველვყოთ ღრმა თვისებრივი ცვლილებები მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობასა და კონსტრუქციული მასალების მწარმოებელ სხვა დარგებში. გავაფართოოთ ყველაზე ეკონომიურ სახეობათა ლითონპროდუქციის, პრინციპულად ახლებური ქიმიური, საშენი და სხვა პროგრესული მასალების ასორტიმენტი, გავზარდოთ მათი გამოშვება.

თანამიმდევრულად გავატაროთ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით დასახული გეზი — უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უზრუნველვყოთ სოფლის სოციალური გარდაქმნა. განვახორციელოთ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების დაჩქარებული და პროპორციული განვითარება, გავზარდოთ ყველა სახეობის რესურსების უკუგება, რომლებიც ამ მიზნებს ხმარდება. დავასრულოთ სოფლის მეურნეობის გადაყვანა ინდუსტრიულ ბაზაზე კომპლექსური მექანიზაციის, ქიმიზაციის, ელექტრიფიკაციის, მიწების მელიორაციის, ინტენსიურ ტექნოლოგიათა ფართო დანერგვის გზით. მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მთელი კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას, უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობა, მინიმუმამდე შევამციროთ მისი დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე.

განვახორციელოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამა. გავადიდოთ არასასურსათო საქონლის გამოშვება სულ ცოტა — 1,8-1,9-ჯერ, და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა— 2,1-2,3-ჯერ.

თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ კაპიტალური მშენებლობა. მივაღწიოთ სამშენებლო წარმოების ძირეულ გაუმჯობესებას, სამუშაოთა ხარისხის მნიშვნელოვან ამაღლებასა და ღირებულების შემცირებას, უფრო აქტიურად ვნერგოთ პროგრესული მეთოდები, სრულვყოთ მშენებლობის ორგანიზაცია, გავაძლიეროთ საპროექტო გადაწყვეტების ეფექტიანობა. უახლოეს ათწლეულში 1,5-2-ჯერ შევამციროთ ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ვადები.

დაჩქარებით განვავითაროთ ახალ ტექნიკურ საფუძველზე ტრანსპორტი, ელექტრო, ნავთობ და გაზმომარაგება, კავშირგაბმულობა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა და საწარმოო ინფრასტრუქტურის სხვა დარგები.

**უზრუნველვყოთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ჰარმონიული ეკონომიკური და სოციალური განვითარება.** გავაძლიეროთ რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის განვითარების კომპლექსურობა და სპეციალიზაცია, გავზარდოთ მათი წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებასა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში.

სრულვყოთ საწარმოო ძალების განლაგება.

**განვავითაროთ ორმხრივ ხელსაყრელ საფუძველზე საგარეო-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. უფრო სრულად გამოვიყენოთ უპირატესობანი, რომლებსაც გვანიჭებს საერთაშორისო შრომის დანაწილება, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.**

განვახორციელოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება. უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია, განვავითაროთ წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, თანამშრომლობის ახალი, ეფექტიანი ფორმები. გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ერთად თანამიმდევრულად განვახორციელოთ ორ-და მრავალმხრივ საფუძველზე ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის პროგრამები. განუხრელად შევასრულოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის ერთობლივი კომპლექსური პროგრამა.

გავაფართოოთ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან. განვავითაროთ ორმხრივ ხელსაყრელ და თანასწორუფლებიან საფუძველზე ეკონომიკური ურთიერთობა დაინტერესებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

**განვახორციელოთ მართვის კომპლექსური სრულყოფა, უკეთ გამოვიყენოთ სოციალისტური გეგმიანი სისტემის უპირატესობანი და შესაძლებლობანი.**

თანამიმდევრულად გავატაროთ და განვავითაროთ სოციალისტური მართვა-გამგეობის ფუძემდებელი ლენინური პრინციპები და, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული ცენტრალიზმი. მოვახმაროთ ცენტრალური ორგანოების ძალისხმევა საზოგადოებრივი წარმოების საერთო-სახელმწიფოებრივი, დარგთშორისი და რეგიონთშორისი პრობლემების გადაჭრას.

სრულვყოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ავამაღლოთ მართვის ეკონომიკური მეთოდების როლი, გაერთიანებებისა და საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა და ეკონომიკური პასუხისმგებლობა. უზრუნველვყოთ სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარება, გავაძლიეროთ საფინანსო-საკრედიტო ბერკეტებისა და ფასთა სისტემის ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობაზე. უფრო მყარი გავხადოთ მანეთი, სრულვყოთ ფულის მიმოქცევა ჩვენს ქვეყანაში.

გავაძლიეროთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების — სოციალისტური სახალხო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ფორმის — როლი სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, გავაფართოოთ მშრომელთა მონაწილეობა მართვა-გამგეობაში.

წამოყენებული ამოცანების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს ავიყვანოთ საბჭოთა საზოგადოება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უფრო მაღალ საფეხურზე; სსრ კავშირი მესამე ათასწლეულს შეუდგება უფრო მძლავრ განვითარებულ სახელმწიფოდ და თავისი მიღწევებით სულ უფრო მზარდ პროგრესულ გავლენას მოახდენს მსოფლიო განვითარების მიმდინარეობაზე.

## III. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ძირითადი ამოცანები

**მომავალი** თხუთმეტწლეულის სტრატეგიული ამოცანების რეალიზაციაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის მეთორმეტე ხუთწლედს. იგი შემობრუნების ეტაპი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით.

**მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების ტემპი და ეფექტიანობა იმ ბაზაზე, რომ დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ წარმოების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია, ინტენსიურად გამოვიყენოთ შექმნილი საწარმოო პოტენციალი, სრულვყოთ მართვის სისტემა, სამეურნეო მექანიზმი და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.**

მეთორმეტე ხუთწლედში ერთდროულად უნდა გადავწყვიტოთ ფართო წრის ამოცანები, რომლებიც ეხება ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დინამიკური განვითარების მიღწევას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ჯეროვან დონეზე შენარჩუნებას.

მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანიდან გამომდინარე:

**გავადიდოთ ეროვნული შემოსავალი**, რომელიც მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოიყენება, 19-22 პროცენტით. უზრუნველვყოთ ეროვნული შემოსავლის მთელი მატება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. შევამციროთ მისი მასალატევადობა 4-5 პროცენტით, ენერგოტევადობა — 7-9 პროცენტით და ლითონტევადობა — 13-15 პროცენტით.

გავადიდოთ მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 21-24 პროცენტით, მათ შორის, წარმოების საშუალებებისა („ა“ ჯგუფი) — 20-23 პროცენტით და მოხმარების საგნებისა („ბ“ ჯგუფი) — 22-25 პროცენტით.

უპირატესი ტემპით განვავითაროთ მრეწველობის დამამუშავებელი დარგები. გავადიდოთ ამ დარგებში პროდუქციის წარმოების მოცულობა 25-28 პროცენტით და გავზარდოთ სათბობ-ნედლეულის დარგების პროდუქციის გამოშვება 11-13 პროცენტით. დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება სათბობსა და ენერგიაზე უმთავრესად სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყოველნაირი ეკონომიის, ატომური ენერგეტიკის, გაზის მრეწველობისა და ქვანახშირის ღია წესით მოპოვების დაჩქარებული განვითარების გზით.

მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ მანქანათმშენებლობის განვითარება, ავამაღლოთ მისი ტექნიკური დონე. განვახორციელოთ მეტალურგიის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის დასახული პროგრამა. დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტემპი.

უზრუნველვყოთ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების შეწონასწორებული განვითარება, მათთვის გამოყოფილი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

მოვახმაროთ კაპიტალური დაბანდება უწინარეს ყოვლისა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას და ტექნიკურ განახლებას, 50 პროცენტამდე გავზარდოთ მისი წილი ამ მიზნით საწარმოო მშენებლობაში. თანამიმდევრულად განვახორციელოთ სამშენებლო წარმოების შემდგომი ინდუსტრიალიზაციის კურსი.

კომპლექსურად განვავითაროთ საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგები. გავაუმჯობესოთ ტვირთზიდვაზე, მგზავრთა გადაყვანასა და სხვა სახეობათა მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა.

მივაღწიოთ **წარმოების ინტენსიფიკაციაში გარდატეხას** იმ საფუძველზე, რომ ფართოდ გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, განვახორციელოთ პროგრესული ძვრები წარმოების სტრუქტურასა და ორგანიზაციაში, გავაუმჯობესოთ შრომის, ტექნოლოგიური და სახელმწიფო დისციპლინა.

დავაჩქაროთ საწარმოო აპარატის განახლება, უწინარეს ყოვლისა, ნაკლებეფექტიანი მოწყობილობის პროგრესული, დიდმწარმოებლური მოწყობილობით უფრო სწრაფი შეცვლის გზით. მოვაწყოთ ძირითადი საწარმოო ფონდების საყოველთაო ინვენტარიზაცია. მესამედით და მეტად განვაახლოთ მათი აქტიური ნაწილი. მეთერთმეტე ხუთწლედთან შედარებით სულ ცოტა 2-ჯერ გავზარდოთ მოძველებული ძირითადი საწარმოო ფონდების კლების მოცულობა.

დავსახოთ და განვახორციელოთ ყოველ დარგში თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის საფუძველზე წარმოების ტექნიკური განვითარებისა და განახლების კომპლექსური პროგრამები. შევიმუშაოთ და განვახორციელოთ გაერთიანებებსა და საწარმოებში წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გეგმები. გავაძლიეროთ წარმოების განვითარების ფონდების როლი გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკურ განახლებაში, უზრუნველვყოთ აღნიშნული ფონდების სახსრების უპირველესი მოხმარება ამ მიზნებისათვის.

უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ შექმნილი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. ვიღვაწოთ მოწყობილობის მაქსიმალური დატვირთვისათვის, არსებითად გავზარდოთ მისი მუშაობის ცვლიანობა.

გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მთლიანად სახალხო მეურნეობაში 20-23 პროცენტით, მათ შორის, მრეწველობაში — 23-25 პროცენტით. მივიღოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთზიდვისა და მშენებლობის სამუშაოების მოცულობის მთელი მატება. უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდა მისი ანაზღაურების გადიდებასთან შედარებით.

უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მივიჩნიოთ პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, რაც ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი. განუხრელად ვიბრძოლოთ ყველა სახეობის რესურსების რაციონალური და მომჭირნე ხარჯვის, მათი დანაკარგების შემცირებისათვის, დაჩქარებით განვახორციელოთ რესურსდამზოგველ და უნარჩენო ტექნოლოგიებზე გადასვლა. მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მეორეული რესურსებისა და წარმოების ნარჩენების გამოყენება, განვავითაროთ მათი გადამუშავების სიმძლავრენი, გავაუმჯობესოთ მეორეული ნედლეულის შეგროვების ორგანიზაცია, მათ შორის, მოსახლეობაში, განვამტკიცოთ დამამზადებელ ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თადარიგიანად გამოვიყენოთ ენერგეტიკული და სხვა რესურსები ყოფა-ცხოვრებაში.

1990 წელს 1985 წელთან შედარებით: უზრუნველვყოთ, რომ მთლიანად სახალხო მეურნეობაში დავზოგოთ 200-230 მილიონი ტონა პირობითი სათბობის ოდენობის ორგანული სათბობი, აქედან 75-90 მილიონი ტონა ატომური ენერგეტიკის განვითარების გზით; შავი ლითონების ნაგლინი — 12-14 მილიონი ტონის ოდენობით;

მშენებლობაში — შევამციროთ შავი ლითონების ნაგლინის ხვედრითი ხარჯი 13-15 პროცენტით, ცემენტისა— 8-10 პროცენტით და ხე-ტყის მასალისა — 10-12 პროცენტით.

შევამციროთ პროდუქციისა და სამუშაოების თვითღირებულება მრეწველობაში 4-5 პროცენტით, მშენებლობაში — 2-3 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობებში) — 5-7 პროცენტით.

დავაჩქაროთ სახალხო-სამეურნეო რესურსების ბრუნვა. განვავითაროთ და სრულვყოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა, უშუალო და ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, მასალა-მოწყობილობის საბითუმო ვაჭრობა.

განვახორციელოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას ტარაზე, უწინარეს ყოვლისა, ტარის ეკონომიურ სახეობათა გამოშვების უპირატესი გადიდების, მისი უნიფიკაციის და სტანდარტიზაციის, ხელახალი გამოყენების გზით.

შევქმნათ უფრო ხელშემწყობი პირობები დიდად ეფექტიანი შრომისათვის, გავაუმჯობესოთ სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები და უსაფრთხოების ტექნიკა, ავამაღლოთ წარმოების კულტურა. უფრო აქტიურად ვნერგოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო. შევქმნათ სამუშაო ადგილების დაგეგმვის, აღრიცხვის, ატესტაციისა და რაციონალიზაციის ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა. თანამიმდევრულად შევამციროთ ხელისა და მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენება, მეტადრე, დატვირთვა-გადმოტვირთვის, სასაწყობო და სხვა დამხმარე სამუშაოებზე.

უფრო ფართოდ განვავითაროთ წარმოების დარგობრივი და ტერიტორიული სპეციალიზაცია, კოოპერირება და კომბინირება.

განვახორციელოთ **ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების** ღონისძიებათა სისტემა. უზრუნველვყოთ რეალური შემოსავლის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 13-15 პროცენტით. გაცილებით უკეთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურებაზე, ამასთან გავითვალისწინოთ მზარდი გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტრუქტურის პროგრესული ცვლილებანი.

კომპლექსურად განვავითაროთ სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები. გავზარდოთ საბინაო მშენებლობის მასშტაბი, ავამაღლოთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინებით, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით უზრუნველყოფის დონე. დავაჩქაროთ სოფლის სოციალური გარდაქმნა.

დასახული სოციალური პროგრამის რეალიზაციის უცილობელი პირობაა სახალხო მეურნეობის აღმავლობის საერთო საქმეში ყოველი მუშაკის წვლილის გადიდება.

## IV. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მეცნიერების განვითარება

**უზრუნველვყოთ საკვანძო პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტა — ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მტკიცედ ავამაღლოთ მეცნიერებისა და ტექნიკის როლი საწარმოო ძალების თვისებრივ გარდაქმნაში, ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. გავაძლიეროთ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ორიენტაცია სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად.**

მივაღწიოთ წარმოების ტექნიკური დონის კარდინალურ ამაღლებას, უწინარესად იმ გზით, რომ გარდავქმნათ ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკა, თავი მოვუყაროთ რესურსებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით — ელექტრონიკის, ატომური ენერგეტიკის, კომპლექსური ავტომატიზაციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ახალი მასალების დამუშავების დარგში. მივიღოთ ხუთწლეულში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მატების სულ ცოტა ორი მესამედი მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების გზით.

განვახორციელოთ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. მეთორმეტე ხუთწლედში 1,5-2-ჯერ გავაფართოოთ პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება. უზრუნველვყოთ, რომ სახალხო მეურნეობაში ფართოდ დაინერგოს პრინციპულად ახლებური ტექნოლოგიები —ელექტრონულ-სხივური, პლაზმური, იმპულსური, ბიოლოგიური, რადიაციული, მემბრანული, ქიმიური და სხვა ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ მრავალგზის გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაძლიეროთ რესურსების გამოყენების ეფექტიანობა და შევამციროთ წარმოების მასალატევადობა. გადავიდეთ ინდუსტრიულ,

(გაგრძელება მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

(გაგრძელება)

ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, ფართოდ გამოვიყენოთ ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის მეთოდები.

თანამიმდევრულად გავაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მოქნილობა. დავნერგოთ ავტომატიზებული სისტემები წარმოების სხვადასხვა სფეროში, უწინარესად, — მოწყობილობისა და ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტებასა და მართვაში. ავამაღლოთ წარმოების ავტომატიზაციის დონე დაახლოებით 2-ჯერ. შევქმნათ კომპლექსურ-ავტომატიზებული წარმოებანი, რომელნიც შეიძლება სწრაფად და ეკონომიურად გარდაიქმნას.

დავაჩქაროთ ახალ თაობათა დიდადეფექტიანი ტექნიკის შემუშავება და წარმოებაში დანერგვა. გადავიდეთ ტექნოლოგიური მოწყობილობის მანქანებისა და კომპლექსების სისტემათა გამოშვებაზე. გავზარდოთ მანქანათმშენებლობის პროდუქციის საერთო მოცულობაში პირველად გამოშვებული ტექნიკის წილი სულ ცოტა 13 პროცენტამდე.

მოვაწყოთ პერსონალური კომპიუტერების მასობრივი გამოშვება. უზრუნველვყოთ გამოთვლითი ტექნიკის წარმოების მოცულობის 2-2,3-ჯერ ზრდა. სწრაფი ტემპით გავადიდოთ ყველა კლასის თანამედროვე დიდმწარმოებლური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების მასშტაბი. კვლავაც შევქმნათ კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები, მონაცემების ინტეგრირებული ბანკები, ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის ქსელები, ავამაღლოთ მათი ეფექტიანობა.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისას უფრო სრულად გამოვიყენოთ წინასწარ გათვალისწინებულთვისებებიანი მასალების, განსაკუთრებით, პროგრესული კონსტრუქციული, მათ შორის, სინთეზური, კომპოზიციური, ზეხალასი და სხვა იმ მასალების შესაძლებლობანი, რომლებიც განაპირობებენ დიდ ეკონომიკურ ეფექტს სახალხო მეურნეობაში.

გავზარდოთ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მრეწველობის პროდუქციის წილი 1,9-2,1-ჯერ, გავადიდოთ ტექნიკის საიმედოობა და მუშაობის რესურსი, ძირითადად დავამთავროთ ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დანერგვა. დავაჩქაროთ პროდუქციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების გადასინჯვა, ამასთან გეზად დავისახოთ უმაღლესი მსოფლიო მიღწევები. ავამაღლოთ მრეწველობის პროდუქციის ატესტაციისათვის მუშაობის დონე, რათა უზრუნველვყოთ პროდუქციის ხარისხის ობიექტური შეფასება. განვავითაროთ პერსპექტიული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საფუძველზე ტექნოლოგიების ტიპიზაცია, გავაღრმავოთ მანქანების, კვანძებისა და დეტალების დარგობრივი და დარგთშორისი უნიფიკაცია.

გავაუმჯობესოთ საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობა. შევქმნათ ყველა საჭირო პირობა სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების უსწრაფესი დანერგვისათვის. განვავითაროთ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემა. სრულვყოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გაცვლა-გამოცვლა.

ძირეული ამოცანაა განვამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, შევქმნათ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ მეცნიერული იდეების შეუფერხებელი და სწრაფი მსვლელობა ჩასახვიდან ფართო პრაქტიკულ გამოყენებამდე. გავაძლიეროთ სამეცნიერო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა გამოკვლევებისა და ნამუშევრების დონისათვის, მათი ყველაზე სრული გამოყენებისათვის.

გავაძლიეროთ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში, პრინციპულად ახლებური ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების ორგანიზაციაში, კონტროლის განხორციელებაში დარგების მეცნიერულ-ტექნიკური დონისადმი, საუკეთესო მსოფლიო მიღწევებთან წარმოების შესაბამისობისადმი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ქსელის ფორმირებისადმი.

გავზარდოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის როგორც ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა კოორდინატორის როლი, გავაძლიეროთ მისი პასუხისმგებლობა პრინციპულად ახლებურ სახეობათა ტექნიკისა და ტექნოლოგიის თეორიული საფუძვლების შექმნისათვის. მივანიჭოთ პრიორიტეტული მნიშვნელობა ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების გასვლას თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე. გავაძლიეროთ ტექნიკური მიმართულება აკადემიის ინსტიტუტების მუშაობაში. გავზარდოთ დარგობრივი და რესპუბლიკური აკადემიების როლი.

არსებითად ავამაღლოთ დარგობრივი მეცნიერების დონე და შედეგიანობა, განვამტკიცოთ მისი საქარხნო სექტორი. გავაფართოოთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ქსელი, მიზნად დავუსახოთ მათ შექმნან და ფართოდ დანერგონ ახალ თაობათა მოწყობილობა და ტექნოლოგიური კომპლექსები, ნიადაგ სრულყონ ტექნიკა და წარმოების ტექნოლოგია. შევიყვანოთ სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების შემადგენლობაში დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, ამასთან უწყება-სამინისტროთა უშუალო დაქვემდებარებაში დავტოვოთ როგორც წესი, მხოლოდ მეთაური ორგანიზაციები, რომელთა ძალისხმევა ხმარდება საერთო-დარგობრივი ხასიათის მქონე გამოკვლევების მოწყობას. გავაძლიეროთ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საწარმოთა სხვა საინჟინრო სამსახურების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დროულ გამოყენებაში.

მივიღოთ ზომები, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უმაღლესი სკოლის მეცნიერული პოტენციალის გამოყენება, არსებითად გაფართოვდეს მიმდინარე მეცნიერული კვლევისა და მუშაობის მოცულობა, მივაღწიოთ მათი სახალხო-სამეურნეო უკუგების მკვეთრ გადიდებას.

ფართოდ გამოვიყენოთ მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის ახალი პროგრესული ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს მოკლე ვადაში გადავჭრათ დიდი დარგთშორისი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემები. შევქმნათ პრინციპულად ახალ სახეობათა ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისა და ფართო მასშტაბით დანერგვისათვის დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები და ცენტრები. გავაუმჯობესოთ აკადემიების, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების სექტორების თანამოქმედება.

მოვახმაროთ საზოგადოებრივ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ძალისხმევა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას.

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში** გავაძლიეროთ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პრობლემათა კვლევა, ავამაღლოთ მეცნიერული გამოკვლევების იდეურ-თეორიული დონე და პრაქტიკული მნიშვნელობა. უფრო ღრმად შევისწავლოთ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის აქტუალური პრობლემები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდის საკითხები, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება. ავამაღლოთ სოციალისტური ეკონომიკის, დაგეგმვის, მართვის, შრომის ანაზღაურების, ფინანსებისა და ფასწარმოქმნის დარგში თეორიული გამოკვლევების დონე. უფრო ღრმად შევისწავლოთ პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური დემოკრატიის, სახელმწიფოებრიობისა და სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების, სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოების პროცესები. გავაფართოოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა. განვაგრძოთ სოციალისტური თანამეგობრობის განვითარების ობიექტური კანონზომიერებებისა და გამოცდილების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერების გზების, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის გაძლიერების პროცესების შესწავლა.

**საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში** გავაფართოოთ კვლევა, რომლის შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ ღრმა თვისებრივი ცვლილებები საწარმოო ძალებში, პრინციპულად ახლებურ სახეობათა პროდუქციის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა. განვავითაროთ თეორიული და გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა და კიბერნეტიკა, ელემენტარულ ნაწილაკთა, ატომბირთვისა და მყარი სხეულის ფიზიკა, მიკრო-და კვანტური ელექტრონიკა და ოპტიკა, რადიოფიზიკა, აგრეთვე გამოკვლევები ატომური და თერმობირთვული ენერგეტიკის, ელექტროენერგიის გარდაქმნისა და გადაცემის, ენერგიის არატრადიციული წყაროების ათვისების დარგში. უფრო ფართოდ გამოვიკვლიოთ მექანიკის პრობლემები, წარმოების ავტომატიზაციის თეორიის საკითხები. დავამუშაოთ კატალიზის, ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, აგრეთვე ახალი კონსტრუქციული მასალების შექმნის მეცნიერული საფუძვლები. განვავითაროთ ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია, მედიცინისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მიღების მეცნიერული საფუძვლები; დავამუშაოთ იმუნოლოგიისა და ვირუსოლოგიის, გენეტიკისა და სელექციის პრობლემები, ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები და საშუალებები. კომპლექსურად გამოვიკვლიოთ დედამიწის ქერქის, ბიოსფეროს, მსოფლიო ოკეანისა და ატმოსფეროს აგებულება და ევოლუცია, აგრეთვე კოსმოსური სივრცე.

სრულვყოთ მუშაობა სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

განვახორციელოთ მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებანი. განვამტკიცოთ მეცნიერების საცდელ-საექსპერიმენტო ბაზა, მოვახმაროთ მის განვითარებას მეცნიერების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების ნახევარი მაინც. არსებითად გავაუმჯობესოთ სამეცნიერო ორგანიზაციათა აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, ავტომატიზაციის საშუალებებით, მასალებითა და პრეპარატებით მეცნიერული კვლევის მოსაწყობად.

## V. მძიმე მრეწველობის განვითარება

**მძიმე მრეწველობის ძირითად ამოცანებს შეადგენს უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, მანქანა-მოწყობილობითა და წარმოების სხვა თანამედროვე საშუალებებით, გაზარდოს მოსახლეობისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვება, გააძლიეროს მისი დარგების მუშაობის ეფექტიანობა.**

აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე, უზრუნველვყოთ:

ფართო გადასვლა დიდადეფექტიანი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით შეესაბამება საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს და კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზაზე. მკვეთრად შევამციროთ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისების ვადები;

მძიმე მრეწველობის სტრუქტურის სრულყოფა, დარგთშორისი და შიდადარგობრივი პროპორციების გაუმჯობესება, მანქანათმშენებლობის, ატომური ენერგეტიკის, გაზის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, პროგრესული კონსტრუქციული მასალების წარმოების დაჩქარებული განვითარება, სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოება;

წარმოების განახლება, უწინარესად, — მისი ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და რეკონსტრუქციის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლების საფუძველზე.

საამწეო-სატრანსპორტო, დატვირთვა-განტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოების არსებითი გადიდება იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების სფერო;

რესურსდამზოგველ სახეობათა ტექნიკისა და ტექნოლოგიის საყოველთაო დანერგვა წარმოებაში, ნედლეულის კომპლექსური გამოყენება, ნატურალური მასალების სინთეზურით შეცვლა ფართო მასშტაბით საწარმოო მოხმარებაში, მასალა-ნედლეულის დანაკარგების შემცირება, მეორეული რესურსების უკეთ გამოყენება.

დავაწესოთ მძიმე მრეწველობის დარგების განვითარების შემდეგი ძირითადი მიმართულებანი.

### მანქანათმშენებლობის კომპლექსი

**უწინარესი** წესით უზრუნველვყოთ მანქანათმშენებლობის კომპლექსის, უპირველეს ყოვლისა, ჩარხმშენებლობის, გამოთვლითი ტექნიკის წარმოების, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობის ძირეული რეკონსტრუქცია და უპირატესი განვითარება. გავითვალისწინოთ ამ დარგების პროდუქციის გამოშვების მატების ტემპის 1,3-1,6-ჯერ გასწრება მთლიანად მანქანათმშენებლობის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

არსებითად ავამაღლოთ კაპიტალური დაბანდების მოცულობა, რომელიც ხმარდება მანქანათმშენებლობის კომპლექსის განვითარებას. გავზარდოთ ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის განახლება ყოველწლიურად 10-12 პროცენტამდე.

გავადიდოთ მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის გამოშვება 40-45 პროცენტით.

შევამციროთ 3-4-ჯერ ახალი ტექნიკის შემუშავებისა და ათვისების ვადები. უზრუნველვყოთ, რომ ყველა ახლად ათვისებულ სახეობათა ტექნიკა მწარმოებლობისა და საიმედოობის მხრივ სულ ცოტა 1,5-2-ჯერ აღემატებოდეს გამომავალ ანალოგიურ პროდუქციას.

გავზარდოთ ეკონომიკურად გამართლებულ ფარგლებში მანქანა-მოწყობილობის ერთეული სიმძლავრე, შევამციროთ წარმოების დანახარჯები მათს ერთეულ მწარმოებლობაზე გაანგარიშებით.

ფართოდ დავნერგოთ მოქნილი გადასამართავი წარმოებანი და ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები, ავტომატური ხაზები, მანქანა-მოწყობილობა მიკროპროცესორული ტექნიკის ჩადგმული საშუალებებით, რიცხვული პროგრამული მართვის მრავალოპერაციული ჩარხები, რობოტტექნიკური, როტორული და როტორულ-კონვეიერული კომპლექსები.

ვზარდოთ იმ დიდმწარმოებლური მანქანა-მოწყობილობის გამოშვება, რომელიც განკუთვნილია ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და უკიდურეს ჩრდილოეთში ექსპლოატაციისათვის.

გადავიდეთ ტექნოლოგიური სისტემებისა და მანქანათა კომპლექსების კომპლექტურ მიწოდებაზე. ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სხვა დარგებში გამოყენებული რთული და განსაკუთრებით ზუსტი ტექნიკის საფირმო რემონტი და მომსახურება დამამზადებელთა ძალებით.

გავაფართოოთ წარმოების საგნობრივი, დეტალობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაცია და კოოპერირება, ეფექტიანად შევუხამოთ სპეციალიზებულ ქარხნებს მექანიკურ-საამწყობო საწარმოები. უზრუნველვყოთ კვანძებისა და დეტალების მაქსიმალური უნიფიკაცია. განვახორციელოთ უნიფიცირებული ბლოკურ-სამოდულო და საბაზო კონსტრუქციების საფუძველზე მანქანა-მოწყობილობისა და ხელსაწყოების შექმნის ღონისძიებანი. გავზარდოთ მრავალფუნქციურ სახეობათა ტექნიკის გამოშვება.

უფრო სრულად გამოვიყენოთ მანქანათმშენებლობის პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების შესაძლებლობანი, რისთვისაც შემდგომ განვავითაროთ და განვამტკიცოთ მანქანათმშენებლობის დარგების ინტეგრაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

მანქანათსამშენებლო სამინისტროებში მნიშვნელოვნად გავზარდოთ საკუთარი საჭიროებებისათვის განკუთვნილი სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოშვება.

გავადიდოთ მანქანათმშენებლობაში პროგრესული კონსტრუქციული მასალების — დაბალლეგირებული ფოლადის ნაგლინის, გრეხილი, ფასონური და ზუსტი პროფილების, ლითონის ფხვნილებისა და პლასტმასების გამოყენება. შევამციროთ მეთორმეტე ხუთწლედში მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრითი ლითონტევადობა 12-18 პროცენტით და მათი ხვედრითი ენერგოტევადობა 7-12 პროცენტით, შევკვეცოთ შავი ლითონების ნაგლინის ხარჯი (მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე) საშუალოდ 26-28 პროცენტით, ფოლადის მილებისა — 18-20 პროცენტით, ფერადი ლითონების ნაგლინისა — 21-23 პროცენტით.

გავზარდოთ საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვა, გავადიდოთ მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი 1990 წელს 1,6-1,8-მდე, მათ შორის პროგრამული მართვის მოწყობილობის და ავტომატური ხაზებისა 1,9-მდე და მოქნილი საწარმოო მოდულების და სისტემებისა — 2-2,5-მდე.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 39-43 პროცენტით, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 9-11 პროცენტით.

**ენერგეტიკულ მანქანათმშენებლობაში** გავაფართოოთ დიდად ეკონომიური ტექნიკის გამოშვება ენერგეტიკის დაჩქარებული განვითარებისათვის. გავაუმჯობესოთ გამოსაშვები მოწყობილობის სტრუქტურა, არსებითად ავამაღლოთ მისი ავტომატიზაციის დონე მიკროპროცესორული ტექნიკის საშუალებათა საფუძველზე. მოვაწყოთ სწრაფნეიტრონიან რეაქტორებზე 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკების შემუშავება და წარმოების ათვისება. გადავწყვიტოთ მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სითბურნეიტრონებიან რეაქტორებზე 1500 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკებისა და სწრაფნეიტრონიან რეაქტორებზე 1600 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკების შექმნასთან.

უზრუნველვყოთ თბომომარაგების ატომური სადგურების მოწყობილობის, ქვეყნის შორეული რაიონებისათვის განკუთვნილი მცირე სიმძლავრის ენერგოდანადგარების გამოშვება. მოვაწყოთ 800 ათასი კილოვატი ერთეული სიმძლავრის ორთქლტურბინის ბლოკების მოწყობილობის სერიული დამზადება კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისა და ქვეყნის სხვა რაიონების ელსადგურებში გამოყენებისათვის. შევქმნათ 120-150 ათასი კილოვატი ერთეული სიმძლავრის დიდი გაზის ენერგეტიკული ტურბინების, აგრეთვე დიდი დაწნევისა და ჰიდროსააკუმულაციო ელსადგურების ჰიდროტურბინული მოწყობილობის სათავო ნიმუშები და მოვაწყოთ მათი წარმოება.

**მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში** ვზარდოთ იმ პროდუქციის გამოშვება, რომელიც უზრუნველყოფს მძიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის საბაზო დარგების ძირეულ ტექნიკურ განახლებას. გადავიდეთ ცალკეული მანქანების წარმოებიდან ძირითადად მაღალი დონის ავტომატიზაციის ტექნოლოგიური ხაზებისა და კომპლექსების შექმნაზე. არსებითად გავზარდოთ მეტალურგიული მოწყობილობის გამოშვება. შევქმნათ 650 კვადრატულ მეტრამდე შეცხობის ფართობის საგლომერაციო მანქანები, კომბინირებული გაქრევის კონვერტერები და ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დიდმწარმოებლური მანქანები და ავითვისოთ მათი წარმოება. უზრუნველვყოთ სამთო მოწყობილობის გამოშვება, უპირატესად დიდი ერთეული სიმძლავრისა, ჰიდრავლიკის გამოყენებით, მოვაწყოთ გვირაბგასაყვანსაწმენდი კომპლექსების დამზადება ციცაბო ძარღვული საბადოების მთლიანი დამუშავებისათვის, გამოვუშვათ დიდმწარმოებლური მექანიზებული კომპლექსები საწმენდი სამუშაოებისათვის, სპეციალური მოწყობილობა სუსტდაყანგულ მადნების გამდიდრებისათვის, 100 კუბურ მეტრამდე ტევადობის ციცხვიანი და 125 მეტრი სიგრძის ისრიანი მაბიჯი ექსკავატორები. შევიმუშაოთ ქვანახშირის მოპოვების დიდი ერთეული სიმძლავრის ახალ პროგრესულ სახეობათა მოწყობილობა და დავიწყოთ მათი წარმოება.

გავზარდოთ თბომავლების, დიზელის ძრავების, სატვირთო და სამგზავრო ვაგონების, მეტროპოლიტენის ვაგონების, საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობისა და სალიანდაგო გზების რემონტის ტექნიკური საშუალებების გამოშვება.

**ელექტროტექნიკურ მრეწველობაში** დაჩქარებით განვავითაროთ პროდუქციის წარმოება და გავზარდოთ მისი ეკონომიურობა. არსებითად გავადიდოთ 800 ათას კილოვატამდე სიმძლავრის ერთიანი უნიფიცირებული სერიის ტურბოგენერატორების, მომეტებული საიმედოობის 1 მილიონი კილოვატი ერთეული სიმძლავრის ტურბოგენერატორების გამოშვება ატომური ელსადგურებისათვის, ენერგოეკონომიური შუქის წყაროების, აგრეთვე 400 კილოვატამდე სიმძლავრის ცვლადი დენის ახალი სერიის ელექტროძრავების წარმოება.

მოვაწყოთ 1500 კილოვოლტი ძაბვის მუდმივი დენის ელექტროგადამცემი ხაზებისათვის განკუთვნილი დიდად ეფექტიანი მოწყობილობის, ელეგაზური იზოლაციის კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობის, დიდი მწარმოებლობის ფოლადსადნობი ელექტროღუმლების დამზადება.

უპირატესი ტემპით ვზარდოთ ავტომატიზებული ელექტროამძრავების გამოშვება. განვავითაროთ ელექტროძრავების, სააკუმულატორო ბატარეების, უკონტაქტო მცირე ძაბვისა და მაღალი ძაბვის აპარატურის, ძალური ნახევარგამტარიანი ხელსაწყოებისა და მოდულების, კავშირგაბმულობის ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელებისა და სხვა ელექტროტექნიკური ნაკეთობების დიდადავტომატიზებული წარმოებანი. ავითვისოთ 10 კილოვატამდე გასხივების სიმძლავრის ლაზერული ტექნოლოგიური დანადგარების, მოქნილი საწარმოო სისტემებისათვის განკუთვნილი მაკომპლექტებელი ნაკეთობების, სამრეწველო რობოტებისა და ავტომატიზაციის საშუალებების, დიდი ტვირთამწეობის ავტოთვითმცლელების ელექტრომოწყობილობის სერიული გამოშვება. გავაფართოოთ მცირეგაბარიტიანი ენერგოტევადი სააკუმულატორო ბატარეებით აღჭურვილი ელექტროსატვირთელების წარმოება.

**ქიმიურ და სანავთობე მანქანათმშენებლობაში** განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისათვის განკუთვნილი პროგრესულ სახეობათა ტექნიკის წარმოება. გავზარდოთ 1,3-1,5-ჯერ მომეტებული ერთეული სიმძლავრის მოწყობილობისა და ტექნოლოგიური ხაზების გამოშვება კომპლექტური და ბლოკურ-კომპლექტური შესრულებით, მათ შორის, წელიწადში 750 ათასი ტონა სიმძლავრის მეთანოლის, კარბამიდის, ეთილენისა და პროპილენის, სინთეზური კაუჩუკის, ცილა-ვიტამინიანი კონცენტრატების ბუნებრივი გაზისაგან დასამზადებელი ავტომატიზებული ხაზებისა. გავაფართოოთ მაღალხარისხოვანი ნავთობგაზსარეწაო, საბურღი, გეოლოგიურსაზვერი, სამელიორაციო, ცელულოზა-ქაღალდსაკეთებელი, ტყექიმიური და სხვა მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების გამოშვება. უზრუნველვყოთ აგრესიული კომპონენტების დიდი შემცველობის საბადოების ასათვისებლად განკუთვნილი სარეწაო მოწყობილობისა და გაზგადამმუშავებელი და ნავთობგადამმუშავებელი კომპლექსების წარმოება.

ვზარდოთ ახალი ტექნოლოგიური პროცესების საფუძველზე პროგრესული სარეაქტორო, თბოცვლისა და მასათცვლის, კრიოგენული, ვაკუუმური, საცივარი მოწყობილობის გამოშვება.

**ჩარხსაშენებელ და საინსტრუმენტო მრეწველობაში** დავაჩქაროთ მანქანათმშენებლობის ტექნიკური განახლებისათვის საჭირო პროგრესული ტექნიკის გამოშვება. სრულვყოთ გამოსაშვები მოწყობილობის სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ახალ სახეობათა ეფექტიანი სამჭედლო-საწნეხი, ლითონსაჭრელი, სამსხმელო და ხის დამმუშავებელი მოწყობილობის დამზადება, გავადიდოთ მისი მწარმოებლობა 1,5-1,6-ჯერ.

უზრუნველვყოთ რიცხვული პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების, „დამმუშავებელი ცენტრის“ ტიპის ჩარხების, მძიმე და უნიკალური ჩარხებისა და წნეხების, მანქანათმშენებლობაში მასობრივ ნაკეთობათა აწყობის ავტომატიზაციის მოწყობილობის, როტორული, როტორულ-კონვეიერული და სხვა ავტომატური ხაზების უპირატესი გამოშვება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისათვის. არსებითად გავაფართოოთ დიდი და განსაკუთრებით დიდი სიზუსტის ჩარხების გამოშვება.

გავზარდოთ ავტომატიზებული და რობოტიზებული კომპლექსებისა და ხაზების, ლითონდამუშავების, მათ შორის ფურცლოვანი და მოცულობითი ტვიფრვის, ლითონის ფხვნილების, პლასტმასებისა და სხვა მასალებისაგან დეტალების დამზადების მოქნილი საწარმოო სისტემების, პროგრესული ინსტრუმენტისა და ტექნოლოგიური აღკაზმულობის, კონტროლის ავტომატიზაციის თანამედროვე საზომი საშუალებების წარმოება.

განვავითაროთ ინსტრუმენტის სპეციალიზებული წარმოება. გავზარდოთ 3-4-ჯერ სალი შენადნობებისა და ლითონკერამიკის, ცვეთამედეგი მრავალშრიანი საფარების მქონე ვერსალესი ფირებით აღჭურვილი დიდმწარმოებლური საჭრელი ინსტრუმენტის გამოშვება. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ გამასალებელი ტექნოლოგია.

**ხელსაწყოთმშენებლობაში** უპირატესი ტემპით განვახორციელოთ ელექტრონიკის ბაზაზე სამრეწველო ავტომატიკის დიდად საიმედო სისტემების დამზადება, უწინარესად, — ტექნოლოგიური პროცესების მართვისათვის. დაჩქარებით განვავითაროთ საინჟინრო შრომის ავტომატიზაციის საშუალებების, დიდი მწარმოებლობის მცირე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების, პერსონალური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების, რიცხვული პროგრამული მართვის სისტემების გამოშვება მრავალფუნქციური ჩარხებისა და მოქნილი საწარმოო მოდულების, საპროგრამირებელი საკომანდო აპარატების წარმოება სხვადასხვა სახეობის მოწყობილობისათვის. გავზარდოთ გამოთვლითი ტექნიკის საპროგრამო საშუალებებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების წარმოება.

უზრუნველვყოთ მანქანა-მოწყობილობის ტექნიკური დიაგნოსტიკის ავტომატური საშუალებების, უვნებელი კონტროლის საშუალებების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შემოწმების, გარემოს მდგომარეობის კონტროლის ახალ ხელსაწყოთა კომპლექსების შექმნა და სერიული გამოშვება. ვზარდოთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოების, მეცნიერული კვლევისათვის განკუთვნილი ახალი ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამოშვება.

მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ავტომატიზაციის საშუალებებსა და ხელსაწყოებში მომეტებული საიმედოობისა და სწრაფმოქმედების ელემენტური ბაზის, ზედიდი ინტეგრალური სქემების, ლაზერული და ბოჭკოვან-ოპტიკური ტექნიკის გამოყენება.

**საავტომობილო მრეწველობაში** უზრუნველვყოთ იმ ავტომობილების გამოშვების გადიდება და სტრუქტურის გაუმჯობესება, რომლებიც უფრო სრულად შეესაბამება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს და სათბობის ეკონომიის ამოცანებს. საერთო გამოშვების 40-45 პროცენტამდე გავზარდოთ დიზელის სატვირთო ავტომობილებისა და იმ ავტომატარებლების წარმოება, რომლებსაც 25-30 პროცენტით ნაკლები აქვთ (ბენზინის ავტო-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

მობილებთან შედარებით) სათბობის ხვედრითი მოხმარება. ავითვისოთ მომეტებული ტევადობისა და კომფორტულობის დიზელის ავტობუსების წარმოება. გავზარდოთ დიდტვირთიანი საკარიერე ავტოთვითმცლელების, მათ შორის 110 და 180 ტონა ტვირთამწეობის ავტოთვითმცლელების, მომეტებული ტვირთამწეობის ხე-ტყის საზიდი ავტომობილებისა და მცირეტონაჟიანი სატვირთო ავტომობილების და ავტოსატვირთელების გამოშვება. დავაჩქაროთ დიზელისძრავიანი და დიდადეკონომიური წინაამძრავიანი მოდელების მსუბუქი ავტომობილების წარმოებაზე გადასვლა. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ შეკუმშული და თხევადი გაზით მომუშავე ავტომობილების წარმოება. შევუდგეთ მშენებლობისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული ავტომობილების სერიულ წარმოებას.

ვზარდოთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადასატანი, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფი სპეციალური ავტომობილებისა და მისაბმელების გამოშვება.

შევამციროთ ავტომობილების სათბობის ხვედრითი ხარჯი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებისა და აეროდინამიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით. 15-25 პროცენტით შევკვეცოთ ხვედრითი ლითონტევადობა, გავადიდოთ ავტომობილების მუშაობის რესურსი და შევამციროთ მათი ტექნიკური მომსახურების შრომატევადობა.

**სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობაში** ფართო მასშტაბით განვახორციელოთ წარმოების ტექნიკური გარდაქმნა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება საჭირო დიდადეფექტიან ტექნიკაზე.

უზრუნველვყოთ მანქანა-იარაღების გამოშვების ზრდა და სტრუქტურის სრულყოფა იმ მანქანათა სისტემების ნომენკლატურის შესაბამისად, რომლებიც 1986-1990 წლებშია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციისათვის, გავზარდოთ მათი მწარმოებლობა 1,5—1,8-ჯერ. შევამციროთ ტრაქტორებისა და კომბაინების სათბობის ხვედრითი ხარჯი 3-5 პროცენტით და ნაწარმის ხვედრითი ლითონტევადობა 10-15 პროცენტით.

მოვაწყოთ ახალი მოდელების მუხლუხიანი სახნავი, თვლიანი უნივერსალურ-სათოხნი და მძიმე სამრეწველო ტრაქტორების დამზადება. გავადიდოთ 3-ჯერ ენერგოგაჯერებული ტრაქტორების იარაღების კომპლექტის გამოშვება. უზრუნველვყოთ ახალი დიდმწარმოებლური მარცვალასაღები კომბაინების შექმნა და მოვაწყოთ მათი გამოშვება. მოვაწყოთ „სტეპის" მარკის ფართოგანიანი ოვითმავალი სამკელების წარმოება. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ექსპლოატაციაში საიმედო, ეკონომიური და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, სამარჯვების კომპლექტიანი მოტობლოკების, სხვა გაუმჯობესებული კონსტრუქციების მანქანების წარმოება კოლექტიურ ბაღბოსტნებში, პირად დამხმარე მეურნეობებში გამოყენებისათვის.

ავითვისოთ დიდმწარმოებლური მანქანა-მოწყობილობის კომპლექსების გამოშვება მიწათმოქმედების ნიადაგდამცავი სისტემების, სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული და ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების, სამელიორაციო, ხე-ტყის დამზადებისა და სხვა სამუშაოთა წარმოებისათვის. მნიშვნელოვნად გავზარდოთ სასუქების მომზადებისა და ნიადაგში შეტანის და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენებისათვის განკუთვნილი მანქანების წარმოება.

მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში ძირითად და დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის უზრუნველსაყოფად გადავიდეთ მაღალხარისხოვანი და ეკონომიური მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებაზე, რომლებიც ერთიან ტექნოლოგიურ კომპლექსებს შეადგენენ. გავაფართოოთ მცირე ფერმების ტექნიკური განახლებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის წარმოება. შევიმუშაოთ საკვების დაკონსერვებისა და ნამჯა-ჩალის დამუშავების მანქანა-მოწყობილობის, აგრეთვე მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმებსა და კომპლექსებში ნარჩენების გადასამუშავებელი ბიოენერგეტიკული დანადგარების კონსტრუქციები და მოვაწყოთ მათი წარმოება. გავზარდოთ მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-მოწყობილობის მწარმოებლობა, გავადიდოთ მათი სამსახურის ვადა.

**სამშენებლო, საგზაო და კომუნალურ მანქანათმშენებლობაში** ყურადღება მივაპყროთ, უწინარეს ყოვლისა, მანქანების, მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და სხვა იმ პროდუქციის დამზადებას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მნიშვნელოვნად ავამაღლოთ სამშენებლო წარმოების ტექნიკური დონე, მკვეთრად შევამციროთ ხელშრომის გამოყენება. უზრუნველვყოთ სამშენებლო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო მანქანათა კომპლექტების, მექანიზაციის საშუალებებისა და ინსტრუმენტის წარმოება. შევქმნათ სიმძლავრენი სპეციალური მრავალმიზნობრივი შასების დასამზადებლად და მოვაწყოთ მათს ბაზაზე ფართო ნომენკლატურის მობილური სამშენებლო მანქანა-მექანიზმების გამოშვება. უპირატესი ტემპით განვავითაროთ 10 ტონა და მეტი ტვირთამწეობის კოშკურა ამწეების, დიდი ტევადობის ციცხვიანი თვითმავალი სკრეპერების, პნევმოთვლიანი სვლის დიდმწარმოებლური ერთციცხვიანი სატვირთელების, ბულდოზერ-საფხვიერებლების, ვიბროსამკვრივებელი ტექნიკისა და მშენებლობის მექანიზაციის სხვა ეფექტიანი საშუალებების წარმოება. უზრუნველვყოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მანქანების გამოშვება მოქმედ საწარმოთა პირობებში.

გავზარდოთ ავტომატიზებული სტაციონარული და მოძრავი ბეტონსარევი დანადგარების, დიდბლოკური მონტაჟის საამწეო მოწყობილობის, საშენ მასალათა მრეწველობის ავტომატიზებული ხაზების დამზადება. ავითვისოთ უფრო სრულყოფილი და ეკონომიური მიწასათხრელი და სამელიორაციო ტექნიკის, საცვლელი მოწყობილობის კომპლექტებიანი მცირეგაბარიტიანი მანქანების სერიული წარმოება. გავაფართოოთ ხე-ტყის დამზადების სამუშაოებისათვის განკუთვნილი დიდად მექანიზებული კომპლექსების ნომენკლატურა და გავზარდოთ მათი გამოშვება. განვავითაროთ საგზაო და კომუნალური მეურნეობის ახალი ტექნიკის წარმოება.

**მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობაში** განვახორციელოთ სამუშაოები ისეთი კომპლექსებისა და მანქანათა სისტემების შესაქმნელად და გამოსაშვებად, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის დამზადების სრულ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადასვლას მსუბუქ და კვების მრეწველობაში. გავაფართოოთ რობოტიზებული მოწყობილობითა და მიკროპროცესორებით აღჭურვილი დიდადეფექტიანი მანქანა-მოწყობილობის გამოშვება. გავზარდოთ დაახლოებით 6-ჯერ ფხვიერი საკვები პროდუქტების საფასოებელი ავტომატური ხაზების წარმოება. განვამტკიცოთ საპროექტო-საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზები.

არსებითად გავაფართოოთ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის წარმოება. უზრუნველვყოთ ფოტოასაწყობი ელექტრონული ტექნიკის, ოფსეტური ბეჭდვის ავტომატიზებული დიდმწარმოებლური მანქანების, აგრეთვე პოლიგრაფიული პროდუქციის დასამზადებელი ნაკადური ხაზების გამოშვების გადიდება.

ნოთ თანამდევი მოპოვების მასალები, მეორეული ნედლეული და სხვა დარგების ნარჩენები საშენ მასალათა წარმოებისათვის. თანამიმდევრულად გადავიდეთ დიდი სამშენებლო მზაობის ნაკეთობათა მიწოდებაზე. გავაფართოოთ მოსახლეობის საჭიროებებისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი პროდუქციის, მათ შორის, ადგილობრივი საშენი მასალების ასორტიმენტი და მიწოდების მოცულობა.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 16-18 პროცენტით, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 4-5 პროცენტით.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგების განვითარება დავუქვემდებაროთ იმ ამოცანას, რომ განუხრელად უზრუნველვყოთ ქვეყნის მოთხოვნილება ყველა სახეობის სათბობსა და ენერგიაზე მათი მოპოვებისა და წარმოების გადიდების გზით, ამასთან გეგმაზომიერად განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროში მიზანმიმართული ენერგოდამზოგველი პოლიტიკა.

**ელექტროენერგეტიკაში** გავადიდოთ 1990 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 1840-1880 მილიარდ კილოვატსაათამდე, მათ შორის, ატომურ ელსადგურებში — 390 მილიარდ კილოვატსაათამდე. არსებითად შევამციროთ მაზუთის სათბობად გამოყენება, უწინარეს ყოვლისა, თბოსადგურებში.

უზრუნველვყოთ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა. ქვეყნის ევროპულ ნაწილსა და ურალში ავაშენოთ დიდი ატომური, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში 4-6 მილიონი კილოვატი ერთეული სიმძლავრის საკონდენსაციო თბოელექტროსადგურები და ჰიდროელექტროსადგურები. დავაჩქაროთ სწრაფნეიტრონიანი რეაქტორების მქონე ატომური სადგურების მშენებლობა, სამანევრო ენერგეტიკული სიმძლავრეების შექმნა. განვახორციელოთ 10 მილიონი კილოვატი სიმძლავრის მოძველებული მოწყობილობის დემონტაჟი და სულ ცოტა 25 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ენერგეტიკული მოწყობილობის მოდერნიზაცია.

გავითვალისწინოთ თბომომარაგების შემდგომი ცენტრალიზაცია ორგანული და ბირთვული სათბობით მომუშავე უპირატესად მძლავრი თბოელექტროცენტრალების, თბომომარაგების ატომური სადგურებისა და დიდი საქვაბეების მშენებლობის გზით.

განვაგრძოთ ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფორმირება, ავაშენოთ 500, 750 და 1150 კილოვოლტი ძაბვის ცვლადი დენისა და 1500 კილოვოლტი ძაბვის მუდმივი დენის სისტემათშორისი ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე გამანაწილებელი ელექტროქსელები.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 21-23 პროცენტით, შევამციროთ ელექტრული და სითბური ენერგიის თვითღირებულება 4-5 პროცენტით.

**ნავთობის მრეწველობაში** უზრუნველვყოთ 1990 წელს 630-640 მილიონი ტონა ნავთობისა და გაზკონდენსატის მოპოვება. განვაგრძოთ ნავთობის მრეწველობის განვითარება დასავლეთ ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და ქვეყნის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთში. შევუდგეთ კასპიისპირეთის დაბლობის ღრმად განლაგებული ნავთობის საბადოების სამრეწველო დამუშავებას.

დავაჩქაროთ ნავთობგაზის საბადოების ათვისება კონტინენტურ შელფში და საამისოდ საჭირო საწარმოო-ტექნიკური ბაზის ფორმირება.

გავაძლიეროთ ნავთობის მოპოვების ეფექტიანობა იმ გზით, რომ გამოვიყენოთ საბადოების დამუშავების რაციონალური სისტემები, სრულვყოთ საბურღ სამუშაოთა ტექნოლოგია, გავაუმჯობესოთ მათი ტექნიკური აღჭურვა, ფართოდ დავნერგოთ შრეების ნავთობუკუგების გადიდების თანამედროვე მეთოდები და გამოვიყენოთ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები. გავზარდოთ ჭაბურღილების მუშაობის რემონტშორისი პერიოდი 1,4-1,8-ჯერ.

გავადიდოთ თანამდევი ნავთობის გაზის გამოყენება 1990 წელს სულ ცოტა 90 პროცენტამდე.

**ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში** უზრუნველვყოთ ნავთობის გადამუშავების შემდგომი გაღრმავება და ძრავის სათბობის, აგრეთვე ქიმიური, ნავთობქიმიური და მიკრობიოლოგიური მრეწველობის ნედლეულის გამომუშავების არსებითი გადიდება. გავაფართოოთ საპოხი ზეთების გამოშვება, გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი. სატრანსპორტო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირების მიზნით განვაგრძოთ მუშაობა ნავთობპროდუქტების წარმოების რაციონალური განლაგების, ნავთობსადენების უფრო ფართო მშენებლობისათვის.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 9-11 პროცენტით.

**გაზის მრეწველობაში** 1990 წელს გაზის მოპოვება გავადიდოთ 835-850 მილიარდ კუბურ მეტრამდე. დავაჩქაროთ იამბურგის, ყარაჩაგანის, ასტრახანისა და გაზის კონდენსატის სხვა საბადოთა დამუშავებაში მოქცევა. განვახორციელოთ იამალის ნახევარკუნძულზე გაზის მოპოვების ორგანიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები. დავიწყოთ კასპიისპირეთის დაბლობის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაცია და შევქმნათ ამ ბაზაზე დიდტონაჟიანი გაზქიმიური წარმოება. ფართოდ დავნერგოთ ავტომატიზებული ბლოკურ-კომპლექტური დანადგარები, მათ შორის დიდი ერთეული სიმძლავრის დანადგარები გაზისა და გაზის კონდენსატის კომპლექსური მომზადებისათვის.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 1,4-ჯერ.

**ქვანახშირის მრეწველობაში** უზრუნველვყოთ 1990 წელს 780-800 მილიონი ტონა ქვანახშირის მოპოვება, პროდუქციის მთელი მატება მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

დავაჩქაროთ კუზნეცკის, ეკიბასტუზის, კანსა-აჩინსკისა და აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვანახშირის აუზების განვითარება.

გავაუმჯობესოთ ქვანახშირის ხარისხი, გავზარდოთ მისი გამდიდრების მოცულობა. გავაფართოოთ საკოქსავი ქვანახშირის კონცენტრატის, აგრეთვე სორტული ქვანახშირისა და ქვანახშირის ბრიკეტების წარმოება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და კოქსის შეცვლისათვის.

უპირატესი ტემპით განვავითაროთ ქვანახშირის მოპოვება პროგრესული ღია წესით, გავზარდოთ მისი წილი სულ ცოტა 46 პროცენტამდე მის საერთო მოპოვებაში. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ როტორული ექსკავატორების, საბადოთა დამუშავების უტრანსპორტო და სატრანსპორტო-საყრელი სისტემების, ნაკადური და ციკლურ-ნაკადური ტექნოლოგიის გამოყენება ჭრილებში სამუშაოდ. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ შახტებისა და მამდიდრებელი ფაბრიკების ავტომატიზებული მოწყობილობის სისტემები. კომპლექსურ-მექანიზებული საწმენდი სანგრევებიდან ქვანახშირის მოპოვების დონე გავადიდოთ 78-80 პროცენტამდე, სამთო გვირაბების კომბაინური გაყვანისა — 48-50 პროცენტამდე.

## კონსტრუქციული მასალების წარმოება

გავაუმჯობესოთ კონსტრუქციული მასალების სტრუქტურა და ხარისხი ახალი პროგრესული ტექნიკის შექმნისა და ეკონომიკის განვითარების რესურსდამზოგველი მიმართულების რეალიზაციის ამოცანების შესაბამისად. დაჩქარებით განვავითაროთ ეკონომიურ სახეობათა ლითონპროდუქციის, სინთეზური და სხვა პროგრესული მასალების წარმოება; გავაფართოოთ კონსტრუქციული მასალების ნომენკლატურა, გავაუმჯობესოთ მათი ტექნიკურ-ეკონომიკური და სისალის მახასიათებლები.

**შავ მეტალურგიაში** გავადიდოთ 1990 წელს მზა ნაგლინის გამოშვება 116-119 მილიონ ტონამდე თუჯის წარმოების გაუზრდელად და კოქსის ხარჯვის არსებითი შემცირების პირობებში. გავაუმჯობესოთ ლითონპროდუქციის სტრუქტურა. უზრუნველვყოთ სულ ცოტა 50 მილიონი ტონა ფურცლოვანი ნაგლინის, 20-21 მილიონი ტონა დაბალლეგირებული ფოლადის ნაგლინისა და 15-16 მილიონი ტონა გამასალებელი დამუშავების ნაგლინის წარმოება. გავაფართოოთ ნავთობის სორტამენტის მილების, გაზსადენი და საქარხნო ანტიკოროზიული დაფარვის სხვა მილების, ლითონის ნაკეთობების წარმოება. ავითვისოთ სულ ცოტა 500 ახალი პროფილის ნაგლინი.

დავაჩქაროთ წარმოების ტექნიკური განახლება. გავადიდოთ ჟანგბად-კონვერტერული და ელექტროფოლადის გამოდნობა 1,3-1,4-ჯერ, უწყვეტი ხერხით ფოლადის ჩამოსხმა სულ ცოტა 2-ჯერ და ლითონის ფხვნილების გამოშვება 2-ჯერ და მეტად. გავაფართოოთ რკინის პირდაპირი მიღების ტექნოლოგიისა და პრინციპულად ახალი ლითონის მასალების სამრეწველო ათვისების სამუშაოები.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 13-15 პროცენტით, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 2-3 პროცენტით.

**ფერად მეტალურგიაში** უპირატესი ტემპით განვავითაროთ სამადნე ბაზა, ალუმინის, ვოლფრამ-მოლიბდენის, ოქროსა და ალმასის მომპოვებელი, იშვიათი ლითონებისა და კალის მრეწველობა და ლითონის ფხვნილების წარმოება. ავითვისოთ სულ ცოტა 300 ახალი სახეობის ნაკეთობათა გამოშვება.

უფრო კომპლექსურად გამოვიყენოთ მადნეული ნედლეული. გავადიდოთ 1990 წელს ჯართის, ნარჩენებისა და წინათ გამოუყენებელი ძნელად გადასამუშავებელი ნედლეულის გადამუშავების გზით ფერადი ლითონების გამოშვება სულ ცოტა 1,9 მილიონ ტონამდე.

გავზარდოთ 2,5-3-ჯერ თხევად აბაზანაში დნობის გამოყენება, უზრუნველვყოთ 35 პროცენტი სპილენძის, ტყვიისა და ნიკელის წარმოება რესურსდამზოგველი ავტოგენური პროცესების გამოყენებით. შევამციროთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯის ნორმები და დავზოგოთ სულ ცოტა 3 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია და მილიონი ტონა პირობითი სათბობი ხუთწლეულში.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 6-7 პროცენტით.

**ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში** გავზარდოთ პროდუქციის წარმოების მოცულობა 30-32 პროცენტით, გავაფართოოთ ასორტიმენტი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. გავადიდოთ 1990 წელს მინერალური სასუქის გამოშვება 41-43 მილიონ ტონამდე, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა — 440-480 ათას ტონამდე, სინთეზური ფისების და პლასტიკური მასებისა—6,8-7,1 მილიონ ტონამდე, ქიმიური ბოჭკოს და ძაფისა — 1,85 მილიონ ტონამდე და სინთეზური კაუჩუკისა — 2,7-2,9 მილიონ ტონამდე.

უზრუნველვყოთ თანამედროვე კონსტრუქციული პლასტიკური მასებისა და სხვა პოლიმერული მასალების წარმოების დაჩქარებული განვითარება, გავადიდოთ მცირეტონაჟიანი ქიმიური პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა, რთული ორგანული სინთეზის პროდუქციის, აგრეთვე მცენარეული ზეთებისა და ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენებული საკვები პროდუქტების შემცვლელთა გამოშვება და გავაფართოოთ მათი ნომენკლატურა. შევქმნათ და ავითვისოთ ახალ სახეობათა დიდი სიმტკიცისა და დიდადმოდულური ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის წარმოება.

გავაფართოოთ რადიალური კონსტრუქციის სალტეების გამოშვება ლითონის კორდის ბაზაზე, ახალი მოდელების დიდი და ზედიდი გაბარიტის სალტეების, უწვად საფუძველზე დამყარებული დიდი სიმტკიცის სატრანსპორტიორო ლენტისა და სხვა რეზინტექნიკური ნაწარმის გამოშვება. გავზარდოთ მრავალსაბრუნავი პოლიმერული ტარის წარმოება დაახლოებით 3-ჯერ.

გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება 29-31 პროცენტით, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 7,9 პროცენტით.

**ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში** უზრუნველვყოთ ტყის ნედლეული რესურსების გამოყენების გაუმჯობესება, უწინარეს ყოვლისა, ნედლეული მერქნის გადამუშავების კომპლექსურობის გადიდების, ტყეების აღდგენა-განახლების, მერქნის დამზადებისა და გადამუშავების საწარმოთა შექმნის გზით.

უპირატესი ტემპით განვავითაროთ ნედლეული მერქნის ქიმიური და ქიმიურ-მექანიკური გადამუშავება, განსაკუთრებით, მისი დამზადების რაიონებში. გავადიდოთ ცელულოზის გამოშვება 15-18 პროცენტით, ქაღალდისა — 11-15 პროცენტით, ხისბოჭკოვანი ფილებისა — 17-20 პროცენტით, მუყაოს და ხის ბურბუშელის ფილებისა — დაახლოებით 1,3-ჯერ. გავადიდოთ 1990 წელს რბილფოთლოვანი მერქნის გადამუშავება 65-70 მილიონ კუბურ მეტრამდე და ტყის ნარჩენების გამოყენება — 70-75 მილიონ კუბურ მეტრამდე.

გავზარდოთ ავეჯის წარმოება 33-35 პროცენტით, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და ასორტიმენტი. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ქაღალდის საქონლისა და შპალერის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის განკუთვნილი საქონლის საფუთავ-საფასოებელი ქაღალდისა და მუყაოს გამოშვება. უზრუნველვყოთ მუყაოს ტარის წარმოების გადიდება დაახლოებით 1,7-ჯერ.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 14-16 პროცენტით და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 2-3 პროცენტით.

**საშენ მასალათა მრეწველობაში** 1990 წელს გავადიდოთ ცემენტის წარმოება 140-142 მილიონ ტონამდე, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. განვავითაროთ ეფექტიანი საშენი მასალების წარმოება. უფრო ფართოდ გამოვიყე-

## მინერალურ - სანედლეულო ბაზა

უზრუნველვყოთ ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის შემდგომი განმტკიცება და გაფართოება. სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგის ასათვისებლად მომზადების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება.

დავაჩქაროთ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის ტერიტორიაზე, კასპიისპირეთის ღრმულში, სსრ კავშირის ევროპულ ჩრდილოეთში, შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში და კოქსვადი და ენერგეტიკული ქვანახშირის საბადოთა დაზვერვა, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც გამოდგება ღია წესით დამუშავებისათვის.

გავაფართოოთ მოქმედი სამთო მომპოვებელი საწარმოების ნედლეულის ბაზა. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ შავი და ფერადი მეტალურგიისათვის მაღალხარისხოვანი მადნების, მინერალური სასუქებისა და საშენი მასალების წარმოებისათვის ნედლეულის საბადოთა ძიებასა და დაზვერვას, მტკნარი მიწისქვეშა წყლების დაზვერილი მარაგის გადიდებას.

დავაჩქაროთ სასარგებლო წიაღისეულის ძიებისა და დაზვერვის პროგრესული მეთოდების დანერგვა. ავამაღლოთ სასარგებლო წიაღისეულის საბადოების პროგნოზების მეცნიერული დასაბუთებისა და გეოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების დონე. უფრო ფართოდ და ეფექტიანად გამოვიყენოთ კვლევის გეოფიზიკური და გეოქიმიური მეთოდები, დედამიწის ზედაპირისა და მისი წიაღის შესწავლის აერომაღლივი და კოსმოსური საშუალებები.

უზრუნველვყოთ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამსახურის გეგმაზომიერი ტექნიკური განახლება, სასარგებლო წიაღისეულის ძიებისა და დაზვერვის სპეციალიზებული მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული საშუალებების, მათ შორის კონტინენტურ შელფზე და მსოფლიო ოკეანეში ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და სამრეწველო ათვისების საშუალებების შექმნა და დანერგვა. გავაუმჯობესოთ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამსახურების აღჭურვა თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებით.

# VI. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება და სასურსათო პროგრამის რეალიზაცია

**აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითადი ამოცანებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური ზრდის მიღწევა. სასურსათო პროდუქტებითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო მომარაგება, კომპლექსის ყველა დარგის ძალისხმევის გაერთიანება საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღებად სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესაბამისად.**

განვახორციელოთ საჭირო ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებანი, რათა აგროსამრეწველო კომპლექსს ვმართავდეთ, ვგეგმავდეთ და ვაფინანსებდეთ როგორც ერთიან მთლიანს ყველა დონეზე. გავზარდოთ აგროსამრეწველო გაერთიანებათა როლი კომპლექსის ყველა რგოლის სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობაში, გავადიდოთ მათი პასუხისმგებლობა სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

გავაძლიეროთ ინტეგრაცია ერთიან აგროსამრეწველო კომპლექსში — სოფლის მეურნეობისა მრეწველობის შესაბამის დარგებთან, ხოლო სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა—წარმოებასთან. უფრო აქტიურად განვავითაროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უშუალო კავშირი გადამმუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან. გავზარდოთ დამამზადებელი ორგანიზაციებისა და მეურნეობების ურთიერთპასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის.

გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. აღმოვფხვრათ დანაკარგები წარმოებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე. სრულვყოთ გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა განლაგება, დავუახლოვოთ ისინი ნედლეულის ბაზას. უფრო ფართოდ დავნერგოთ წარმოების ინდუსტრიული და უნარჩენო ტექნოლოგიები. გავაუმჯობესოთ პროდუქციის გადაზიდვის, გადამუშავებისა და შენახვის ორგანიზაცია. დაჩქარებული ტემპით დავნერგოთ უახლესი სამაცივრო ტექნიკა, განვავითაროთ მაცივრების ქსელი. გავადიდოთ კომპლექსის დარგების აღჭურვა სარეფრიჟერატორო ტრანსპორტით, კონტეინერებით პროდუქციის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის.

თანამიმდევრულად განვამტკიცოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მივაღწიოთ მისი დარგების ჰარმონიულ განვითარებას, რესურსები თავი მოვუყაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, აღმოვფხვრათ ვიწრო ადგილები მთელი ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით პროდუქციის წარმოებიდან მომხმარებლისათვის მის რეალიზაციამდე. მნიშვნელოვნად ავამაღლოთ აგროსამრეწველო კომპლექსისათვის გამოყოფილი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა.

**სოფლის მეურნეობაში** 14-16 პროცენტით გავზარდოთ მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობა, უმთავრესად განვითარების ინტენსიური ფაქტორების, მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე პრაქტიკის უახლესი მიღწევების დანერგვის, შექმნილი საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების გზით.

განვაგრძოთ მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების თანამიმდევრული ათვისება, გავაფართოოთ მიწის დამუშავების ნიადაგდამცავი მეთოდების გამოყენება და ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება. მნიშვნელოვნად გავზარდოთ მიწათმოქმედების პროდუქტიულობა და სტაბილურობა, ამ მიზნით განვახორციელოთ ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლამოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიათა დანერგვის ღონისძიებათა კომპლექსი.

განუხრელად გავზარდოთ მარცვლეულის წარმოება — ქვეყნის სასურსათო და საფურაჟე ფონდების შექმნის საფუძველი. გავადიდოთ თავთუხი და ღონიერი ხორბლის, ბურღულეულის კულტურების წარმოება. გავაუმჯობესოთ სამარცვლე-საფურაჟე წარმოების სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამარცვლე-პარკოსანი კულტურებისა და სიმინდის მთლიანი მოსავალი. განვაგრძოთ მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის გარანტირებული წარმოების მსხვილი ზონების შექმნა სარწყავ მიწებზე. რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის მარცვლეულის რაიონების შესაძლებლობანი.

(გაგრძელება მე-5 გვ.)

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

გავადიდოთ 1990 წელს მარცვლეულის მთლიანი მოსავალი 250-255 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 92-95, მზესუმზირასი — 7,4-7,5, კარტოფილისა—90-92, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურებისა — 40-42, ხილისა და კენკრისა — 14,5-15,5, ყურძნისა — 10,5-11,5 მილიონ ტონამდე.

უზრუნველვყოთ, რომ 1990 წელს მივიღოთ 2,8-3 მილიონი ტონა საბოჭკოე ბამბა, 9,1-9,4 მილიონი ტონა ხამი ბამბა. გავაფართოოთ ბოჭკოს უფრო მაღალი ტექნოლოგიური თვისებების მქონე ბამბის ნათესები, გავზარდოთ მისი გამოსავლიანობა და შევამციროთ დანაკარგები. გავზარდოთ სელის ბოჭკოს გამოშვება და გავაუმჯობესოთ ხარისხი, სელის ნამჯის სამრეწველო გადამუშავება გავადიდოთ მისი წარმოების საერთო მოცულობის 50-60 პროცენტამდე. გავზარდოთ ჩაის ფოთლის, სუბტროპიკული, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების მოსავალი.

გავაძლიეროთ მუშაობა ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის გამოყენების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ისეთი ახალი დიდპროდუქტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის, რომლებიც შეესაბამებიან ინტენსიურ ტექნოლოგიათა მოთხოვნებს და მედეგი არიან გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებისადმი, გამოდგებიან მანქანური აღებისათვის და აკმაყოფილებენ კვების მრეწველობის მოთხოვნილებებს. განვახორციელოთ შაქრის ჭარხლის შაქრიანობის გადიდების, დანაკარგების აღმოფხვრის ღონისძიებანი, სრულვყოთ მეთესლეობის ორგანიზაცია და გავაუმჯობესოთ თესლის ხარისხი.

კომპლექსურად გამოვიყენოთ სარეველებთან, მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ქიმიური, ბიოლოგიური და აგროტექნიკური ხერხები.

**ყოველნაირად განვავითაროთ საკვებწარმოება.** საველე და მდელო-საძოვრული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე არსებითად გავზარდოთ უხეში და წვნიანი საკვების წარმოება. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მათი მოვლა-მოყვანის, დამზადებისა და შენახვის პროგრესული ტექნოლოგიები, ძირეულად გავაუმჯობესოთ საკვების სტრუქტურა და ხარისხი.

მნიშვნელოვნად გავადიდოთ მცენარეული საკვები ცილის წარმოება იონჯის, სამყურის, ბარდის, მზესუმზირას, სოიის, რაფსისა და პროტეინის მაღალი შემცველობის მქონე სხვა კულტურების ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების გზით. გავაფართოოთ საკვები მიზნით კვებისა და თევზის მრეწველობის თანამდევი პროდუქციის, აგრეთვე საჭმლის ნარჩენების გამოყენება. თითოეულ მეურნეობაში შევქმნათ საკვების შენახვისა და ჭმევისათვის მისი მომზადების საჭირო ბაზა, განვახორციელოთ საფურაჟე მიზნით მარცვლეულის ხარჯვის შემცირების ღონისძიებანი. მივაღწიოთ პირუტყვის საკვებად მარცვლეულის მხოლოდ გადამუშავებული სახით გამოყენებას.

საკვები ბაზის განმტკიცების, გენეტიკისა და სელექციის მიღწევების, ჯოგის თვისებრივი გაუმჯობესების ახალი ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების საფუძველზე არსებითად გავზარდოთ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, უზრუნველვყოთ **მეცხოველეობის** პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა. 1990 წელს ხორცის წარმოება გავადიდოთ 21 მილიონ ტონამდე (ნაკლავის წონით), რძისა — 106-110 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 80-82 მილიარდ ცალამდე.

სრულვყოთ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდისა და სუქების ორგანიზაცია, განვავითაროთ შიდასამეურნეო და სამეურნეობათშორისი სპეციალიზაცია, დავნერგოთ ხორცის, რძის, სხვა პროდუქციის წარმოების ინტენსიური მეთოდები და პროგრესული ნაკადური ტექნოლოგიები. უფრო სრულად გამოვიყენოთ ბუნებრივი საკვები სავარგულების შესაძლებლობანი მეცხვარეობისა და სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის, გავაფართოოთ პირუტყვის სუქება საძოვრებზე. გავზარდოთ მატყლის, ქურქ-ბეწვეულისა და ტყავის ნედლეულის წარმოება, გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი. განვავითაროთ მეცხენეობა, მეირმეობა, საბეწვე მენადირეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, სატბორე მეთევზეობა, მეაბრეშუმეობა, გავაუმჯობესოთ მეცხოველეობის სავეტერინარო მომსახურება.

სურსათის რესურსების შევსების მიზნით ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე **სასოფლო მეურნეობების** განვითარებას. დავეხმაროთ მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებს სათიბებისა და საძოვრების გამოყოფის, საკვების, თესლის, სასუქების, პირუტყვისა და ფრინველის მოზარდეულის მიყიდვის გზით. გავაუმჯობესოთ მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაცია.

განვაგრძოთ **მიწების მელიორაციის გრძელვადიანი პროგრამის** რეალიზაცია. საექსპლოატაციოდ გადავცეთ ხუთწლეულში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე 3,3 მილიონი ჰექტარი სარწყავი და 3,6 მილიონი ჰექტარი დაშრობილი მიწები. შევასრულოთ კულტურტექნიკური სამუშაოები 8,3 მილიონ ჰექტარ ფართობზე. გავაუმჯობესოთ მოქმედი სარწყავი სისტემების ტექნიკური მდგომარეობა 5,6 მილიონ ჰექტარ ფართობზე. გავადიდოთ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების ეფექტიანობა. მივაღწიოთ ამ მიწებზე საპროექტო მოსავლიანობის მიღებას. ავამაღლოთ წყალსამეურნეო მშენებლობის ტექნიკური დონე და ხარისხი. შევიმუშაოთ და განვახორციელოთ რწყვის წყალდამზოგავ ტექნოლოგიებზე გადასვლის დაჩქარების, წყლის რესურსებისა და მიწის სავარგულების ყაირათიანი გამოყენების ღონისძიებანი. კომპლექსურად გადავწყვიტოთ მიწების მელიორაციისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების საკითხები.

მნიშვნელოვნად გავზარდოთ წყლის რესურსების რეგიონალური გადანაწილების მეცნიერული დასაბუთება. გავშალოთ ვოლგის აუზში და ვოლგიდან დონსა და ყუბანში ჩრდილოეთის მდინარეების ჩანადენის ნაწილის გადაგდებასთან, დნეპრ-ბუგის ჰიდროკვანძისა და დუნაი-დნეპრის არხის პირველი რიგის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

სოფლის მეურნეობის **ქიმიზაციისა** და ორგანული სასუქების გამოყენების გაფართოების საფუძველზე გეგმაზომიერად განვახორციელოთ ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების სამუშაოები. სოფლის მეურნეობას 1990 წელს მივაწოდოთ 30-32 მილიონი ტონა მინერალური სასუქები, 440-480 ათასი ტონა მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, აგრეთვე სულ ცოტა 100 მილიონი ტონა კირის მასალები, მათ შორის 24 მილიონი ტონა ადგილობრივი კირის მასალები. გავზარდოთ 1990 წელს ორგანული სასუქების გამოყენება 1,5 მილიარდ ტონამდე. უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ამ მიზნით ტორფი, საპროპელი და სხვა ადგილობრივი რესურსები. გავაუმჯობესოთ სასუქების შენახვა, სრულვყოთ ნიადაგში მათი შეტანის ხერხები, გავზარდოთ გამოყენების ეფექტიანობა.

გავადიდოთ სოფლის მეურნეობისათვის საკვების ქიმიური დანამატებისა და კონსერვანტების, მცენარეთა ზრდის სტიმულატორებისა და დაცვის ბიოლოგიური საშუალებების, სხვადასხვა სახეობის აფსკის, პოლიმერული მასალებისა და ქიმიზაციის სხვა საშუალებათა მიწოდება.

მიზანმიმართულად განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების **ტექნიკური განახლება.** სოფლის მეურნეობას ხუთწლეულში მივაწოდოთ 1900 ათასი ტრაქტორი, 1600 ათასი სატვირთო ავტომობილი, 1770 ათასი ტრაქტორის მისაბმელი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მოწყობილობა სულ ცოტა 43 მილიარდი მანეთისა. მათ შორის 17 მილიარდი მანეთისა — მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის. გავაუმჯობესოთ დარგის აღჭურვა ეკონომიური დიდმწარმოებლური მანქანების კომპლექსებით, სპეციალიზებული სატრანსპორტო და დასატვირთ-გადმოსატვირთი საშუალებებით.

მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სამანქანო-სატრაქტორო პარკის ტექნიკური მომსახურება და გამოყენება, განვამტკიცოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარემონტო ბაზა. გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობა.

გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში 21-23 პროცენტით.

**კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის** დარგებში უზრუნველვყოთ წარმოების მოცულობის ზრდა 18-20 პროცენტით.

განვახორციელოთ ამ დარგების საწარმოთა ტექნიკური განახლების ღონისძიებანი მათი ნაკადური ხაზებითა და მოწყობილობით აღჭურვის საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციისა და ნედლეულის კომპლექსურ გადამუშავებას.

1990 წელს ხორცის სახელმწიფო რესურსების ნედლეულისაგან გამოვიმუშაოთ 11,7-12,2 მილიონი ტონა ხორცი, 1,5-1,7 მილიონი ტონა ერბო-კარაქი, 31-32 მილიონი ტონა მოუხდელი რძის პროდუქცია, 1 მილიონი ტონა ყველი, 10-11 მილიონი ტონა ფხვნილი შაქარი (შაქრის ჭარხლისა), 3,7-4 მილიონი ტონა მცენარეული ზეთი და 16-18 მილიარდი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვები.

გავზარდოთ დაფასოებული და შეფუთული სახით ხორცისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების გამოშვება, მათი წილი გაყიდვის საერთო მოცულობაში გავადიდოთ 40-45 პროცენტამდე. გავაუმჯობესოთ კვების მიზნით რძის გამოყენება მისი გადამუშავების გაღრმავებისა და მოუხდელი რძის პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოების გზით. მნიშვნელოვნად გავადიდოთ მურაბების, კომპოტების, ჯემებისა და წვენების გამომუშავება უპირატესად წვრილად დაფასოებული სახით. ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თანამიმდევრული რეალიზაციის მიზნით განვახორციელოთ ლიქიორ-არყის, ღვინის და სპირტის მრეწველობის საწარმოთა ნაწილის პროფილის შეცვლა, რათა ისინი უშვებდნენ სასურსათო პროდუქციას, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნაა.

**თევზის მრეწველობაში** გავზარდოთ 1990 წელს საკვები თევზის პროდუქციის წარმოება 4,4-4,6 მილიონ ტონამდე და თევზის კონსერვებისა — დაახლოებით 3 მილიარდ პირობით ქილამდე. გავადიდოთ ცოცხალი, გაცივებული თევზის, დამუშავებული სახით თევზის პროდუქციის, ზურგიელის, შებოლილი და გამოყვანილი თევზის საქონლის მიწოდება. გავზარდოთ თევზის სარეწი გემების გამოყენების ეფექტიანობა, გავაძლიეროთ მსოფლიო ოკეანის ღია ნაწილის ბიოლოგიური რესურსების სამეცნიერო კვლევა და სამრეწველო ათვისება. უფრო აქტიურად განვავითაროთ თევზის მოპოვება სსრ კავშირის საზღვაო რაიონებში. გადაჭრით გავაუმჯობესოთ მეთევზეობისა და თევზჭერის ორგანიზაცია შიდა წყალსატევებში, გავაფართოოთ სატბორე თევზის მეურნეობათა შექმნის სამუშაოები. ყველგან გამოვიყენოთ მათი შესაძლებლობანი თევზის რესურსების გადიდებისათვის. განვამტკიცოთ თევზის გადასამუშავებელ საწარმოთა საწარმოო ბაზა. დავაჩქაროთ თევზსარეწი ფლოტის განახლება. გავადიდოთ თევზის მრეწველობისათვის თევზის ძებნის, მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა მიწოდება.

მრეწველობის კვების დარგებში გავაფართოოთ პროდუქციის ასორტიმენტი, გავაუმჯობესოთ ხარისხი, გავზარდოთ დაფასოებული საქონლის გამოშვება. განვახორციელოთ ნედლეულის უფრო რაციონალური გადამუშავება. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საბავშვო და დიეტური კვების პროდუქტების, ვიტამინებით, ცილებით და გადიდებული ბიოლოგიური და კვებითი ღირებულების სხვა კომპონენტებით გამდიდრებული პროდუქტების წარმოება. გავზარდოთ ნახევარფაბრიკატების, სწრაფად გაყინული ხილის, ბოსტნეულისა და მზა კერძების გამოშვება, რომლებიც კულინარიულ დამუშავებას არ მოითხოვენ, ფართო ასორტიმენტით გამოვუშვათ უალკოჰოლო სასმელები და მათი კონცენტრატები.

გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება კვების მრეწველობაში 14-16 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობაში— 25-28 პროცენტით, თევზის მრეწველობაში — 10-12 პროცენტით. შევამციროთ აღნიშნულ დარგებში პროდუქციის თვითღირებულება 3-5 პროცენტით.

**ფქვილ-ბურღულეულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობაში** ავამაღლოთ საწარმოთა ტექნიკური დონე დიდად ეფექტიანი მოწყობილობისა და მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენების ბაზაზე, გავზარდოთ ხუთწლეულში 1,4-1,5-ჯერ უმაღლესი ხარისხის ფქვილის წარმოება.

დავაჩქაროთ ელევატორებისა და მარცვალსაცავების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა. გავაფართოოთ ელევატორებისა და კომბინირებული საკვების საწარმოთა მშენებლობა საუწყებათშორისო კოოპერაციის საფუძველზე, და უწინარეს ყოვლისა დაშორებულ მარცვლეულის რაიონებში. უფრო სწრაფი ტემპით განვახორციელოთ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია ფქვილისა და კომბინირებული საკვების უტარო, კონტეინერული და პაკეტური გადაზიდვის გაფართოების გზით. გავაუმჯობესოთ კომბინირებული საკვების ხარისხი, შევამციროთ მარცვლეულის ხვედრითი წილი მასში სრულფასოვანი დანამატების გამოყენების ხარჯზე.

**მიკრობიოლოგიურ მრეწველობაში** ერთიორად გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება ხუთწლედში. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საკვები ცილისა და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა წარმოება. განვავითაროთ ბიოტექნოლოგიის ნედლეულის ბაზა, კერძოდ გაზის გამოყენების გადიდების გზით. უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება მიკრობიოლოგიური სინთეზის პროდუქტებზე. უფრო აქტიურად დავნერგოთ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის დარგში.

**სატყეო მეურნეობაში** გავაუმჯობესოთ ტყის რესურსების აღდგენა-განახლება და გამოყენება, უფრო ფართოდ დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები, მეურნეობის ზონალური სისტემები, წარმოების ქიმიზაცია და მექანიზაცია. უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ ტყის ფონდის მიწები, გავზარდოთ დამცავი ტყის გაშენებისა და საძოვრების მოტყევების სამუშაოთა მოცულობა უდაბურ და ნახევრად უდაბურ რაიონებში. გავაძლიეროთ კონტროლი ტყის ნედლეულის რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი. აგრეთვე ხანძრებისაგან, მავნებლებისა და დაავადებებისაგან ტყეების დაცვა. განვავითაროთ ევროპული ურალის ზონაში მუდმივი ნედლეულის ბაზა ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისათვის.

## VII. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარება

**უკლებლივ ყველა დარგის, ქვეყნის რესპუბლიკებისა და რაიონების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაზარდონ წვლილი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან ამოცანათა გადაწყვეტაში, თანამიმდევრულად განახორციელონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა.**

გავადიდოთ სულ ცოტა 1,3-ჯერ არასასურსათო საქონლის წარმოება მომავალ ხუთწლეულში. უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მრავალმხრივი მოთხოვნილებანი ქსოვილებზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელსა (განსაკუთრებით დასვენების, ტურიზმისა და სპორტისათვის) და მასობრივი მოთხოვნის სხვა საქონელზე. უზრუნველვყოთ მათი დამზადება და გაყიდვა ასორტიმენტით, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნას შეესაბამება. არსებითად გავაუმჯობესოთ ნაწარმის ხარისხი, ავამაღლოთ მისი ტექნიკური და ესთეტიკური დონე, საიმედოობა ექსპლოატაციაში.

განვახორციელოთ მაღალხარისხოვანი საშენი მასალების, ბაღ-ბოსტნისა და სხვა ინვენტარის წარმოებისა და მოსახლეობისათვის მიყიდვის გადიდების ღონისძიებანი.

გავზარდოთ 1,3-1,4-ჯერ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობა, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და კულტურა. უფრო სწრაფი ტემპით განვავითაროთ მოსახლეობის მომსახურება სოფლად. სრულვყოთ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების სისტემა, დროზე მოვახდინოთ რეაგირება მშრომელთა მოთხოვნილებების შეცვლაზე.

**მსუბუქ მრეწველობაში** გავზარდოთ 1990 წელს ქსოვილების წარმოება 14-15 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 2,2-2,3 მილიარდ ცალამდე, ფეხსაცმლისა — 900 მილიონ წყვილამდე. გავადიდოთ გაუმჯობესებული მოჩითვის შალის ქსოვილების გამოშვება 1,7-ჯერ, ახალი სტრუქტურის აბრეშუმის ქსოვილებისა — 2-ჯერ, საყოფაცხოვრებო უქსოვადი მასალებისა — 2,3-ჯერ. უპირატესი ტემპით განვავითაროთ საბავშვო საქონლის წარმოება. მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქსოვილების მხატვრული გაფორმება შეკერილი ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება, გავაფართოოთ ახალგაზრდობისა და უფროსი ასაკის პირთათვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ასორტიმენტი.

უფრო ფართოდ დავნერგოთ შრომის პროცესების მექანიზაცია, შევქმნათ ავტომატიზებული სართავი, საქსოვი და ტრიკოტაჟის წარმოებები, მასობრივ სახეობათა მოდური, ლამაზი ტანსაცმლისა და ჩინებული ხარისხის ფეხსაცმლის გამოსაშვები ნაკადური ხაზები, რომელთა ხელახალი გამართვა სწრაფად ხდება.

უზრუნველვყოთ ნედლეულის, მასალების, ქსოვილების რაციონალური გამოყენება, გავაფართოოთ ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების, მედეგი საღებავებისა და სხვა ქიმიური მასალების გამოყენება.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 24-26 პროცენტით, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 3-4 პროცენტით.

გავადიდოთ **კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის** გამოშვება 1,3-1,5-ჯერ. არსებითად გავადიდოთ მძიმე ინდუსტრიისა და თავდაცვითი მრეწველობის დარგების წვლილი მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი სამრეწველო საქონლით, მეტადრე ხანგრძლივი სარგებლობის საქონლით, მოსახლეობის უზრუნველყოფაში.

დავაჩქაროთ რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოშვება, რომელიც ამცირებს შრომის დანახარჯებს საოჯახო მეურნეობაში. გადავიდეთ ძირითადად უნიფიცირებულ საყოფაცხოვრებო მაცივრებისა და საყინავების, სარეცხი და საკერავი მანქანების, სხვა თანამედროვე ელექტროსაყოფაცხოვრებო ტექნიკის დამზადებაზე. გავზარდოთ რადიომიმღებების წარმოება 1,3-1,4-ჯერ, ფერადი გამოსახულების ტელევიზორებისა — 1,6-ჯერ, მაგნიტოფონებისა — 1,3-ჯერ, საკერავი მანქანებისა — 1,6-ჯერ, ავეჯისა — 1,3-ჯერ, ბაღის სახლებისა — 2-ჯერ, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლისა — 1,4-1,6-ჯერ. გავაფართოოთ პირად დამხმარე მეურნეობებში, კოლექტიურ ბაღებსა და ბოსტნებში გამოყენებისათვის მექანიზაციის საშუალებათა გამოშვება.

**სამედიცინო მრეწველობაში** გავზარდოთ პროდუქციის მოცულობა სულ ცოტა 1,4-ჯერ. ავითვისოთ მაღალეფექტიანი მედიკამენტების წარმოება, უწინარეს ყოვლისა ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა მკურნალობისათვის, გავაფართოოთ უახლესი ხელსაწყოებისა და აპარატურის გამოშვება დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მოსახლეობის მკურნალობისათვის.

განვახორციელოთ რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით **ადგილობრივი მრეწველობის** შემდგომი განვითარების, მისი ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი. გავზარდოთ პროდუქციის წარმოება 1,3-1,4-ჯერ უპირატესად საქონლის, მათ შორის მხატვრული ხარეწების ნაწარმის, ადგილობრივი საშენი მასალების ასორტიმენტის გაფართოების გზით. გავაუმჯობესოთ საქონლის ხარისხი, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ შინ შრომის ფორმები. გავზარდოთ ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და მეორეული რესურსების გამოყენება.

**უზრუნველვყოთ მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარება და ეფექტიანობის გადიდება.** ძირეულად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი და კულტურა, გავაფართოოთ მომსახურების სფეროს საწარმოთა და დაწესებულებათა ქსელი, სრულვყოთ მათი მუშაობის ორგანიზაცია, უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ მისი სახეობანი, რათა მშრომელებს შევუქმნათ მაქსიმალური მოხერხებული პირობები მომსახურებით სარგებლობაში. განვამტკიცოთ მოსახლეობის მომსახურე დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გავაუმჯობესოთ ამ დარგების საწარმოთა აღჭურვა თანამედროვე დიდმწარმოებლური მოწყობილობით, დავაჩქაროთ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა.

რაციონალურად განვალაგოთ მომსახურების სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქსელი, მიუახლოოთ ისინი ადამიანთა მუშაობის, სწავლისა და ბინადრობის ადგილს. ფართოდ ჩავაბათ ყველა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები, მათი სპეციალიზაციის მიუხედავად, მოსახლეობისათვის ყველა სახეობის საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების გაწევაში.

განვავითაროთ საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამგზავრო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის საწარმოთა და დაწესებულებათა, აგრეთვე სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი სპორტული ორგანიზაციების, სამართლებრივი სამსახურებისა და სანოტარო კანტორების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურება. განვავითაროთ მოქალაქეთა სახელმწიფო პირადი და ქონებრივი დაზღვევა, გავაფართოოთ შემნახველ სალაროთა მიერ გაწეული მომსახურება.

მთლიანად უზრუნველვყოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი მოსახლეობის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, რადიოელექტრონული აპარატურის, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების, ავეჯისა და საოჯახო დანიშნულების სხვა საგნების რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

დაჩქარებით განვავითაროთ სამრეცხაოების, ქიმწმენდის საწარმოების, საპარიკმახეროების მიერ გაწეული მომსახურება, აგრეთვე სხვა მომსახურება. გავადიდოთ 1990 წელს მოსახლეობის შეკვეთებით ბინების შეკეთებისა და მშენებლობის, სხვა ნაგებობათა აშენებისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა სულ ცოტა 3-ჯერ. ამ მიზნით გამოვიყენოთ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები. გამოვყოთ სულ ცოტა 1 მილიონი საბაღე და საბოსტნე ნაკვეთი წელიწადში და საჭირო მოცულობით გავუწიოთ ფასიანი მომსახურება მათი მოწყობისათვის.

გავზარდოთ ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა, გავაუმჯობესოთ ამ მომსახურების ხარისხი, გავაფართოოთ მისი ფორმები და სახეობები. განვახორციელოთ ახალი ტურისტული კომპლექსების, სასტუმროების, ბაზებისა და კემპინგების მშენებლობა. მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი ტურიზმისათვის საჭირო ინვენტარსა და აღჭურვილობაზე. გავაუმჯობესოთ სატრანსპორტო საშუალებებით ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციათა უზრუნველყოფა.

განვავითაროთ ახალი პროგრესული სახეობებისა და ფორმების კულტურული მომსახურება. გავაფართოოთ თეატრების, კინოთეატრების, მუზეუმების, ცირკების, საკონცერტო დარბაზების, ბავშვთა სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ქსელი. გავაძლიეროთ საკლუბო დაწესებულებათა როლი მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით სოფლად.

გავაუმჯობესოთ ყველა სახეობის ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურება. უფრო სრულად გავითვალისწინოთ მოთხოვნები გადაყვანის კომფორტულობისადმი, ავამაღლოთ მომსახურების კულტურა. გავადიდოთ 1990 წელს საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა 12-14 პროცენტით.

განვაგრძოთ მოქმედი მეტროპოლიტენების განვითარება და ახალთა მშენებლობა, დავიწყოთ ჩელიაბინსკის, ომსკის, კრასნოიარსკის, ალმა-ათის, რიგისა და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების მეტროს ხაზების მშენებლობა. განვახორციელოთ საავტობუსო, ტრამვაის, ტროლეიბუსების პარკის მუშაობის სრულყოფის, მათი სარემონტო ბაზის განმტკიცების, სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის რიტმულობისა და სიზუსტის გადიდების ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა სოფლად. გავზარდოთ ამ საქმეში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლი. გავადიდოთ შიდასაქალაქო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის მოცულობა 20-25 პროცენტით.

დაჩქარებით **განვავითაროთ კავშირგაბმულობის მიერ გაწეული მომსახურება და ინფორმაციის ტექნიკური საშუალებანი.**

გავზარდოთ მოსახლეობისათვის გაწეული სატელეფონო კავშირის მომსახურების მოცულობა 1,6-1,7-ჯერ, საქალაქთაშორისო ტელეფონ — ავტომატების რიცხვი 2,5-3-ჯერ, ავამაღლოთ 70 პროცენტამდე საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ავტომატიზაციის დონე.

უზრუნველვყოთ ხუთწლედის დამლევისათვის ტელევიზიის ორი პროგრამის მიღება პრაქტიკულად ყველგან. გავაფართოოთ მრავალპროგრამიანი რადიომაუწყებლობის ქსელი სოფლად. ყველგან მოვაწყოთ გაზეთების მიტანა ხელმომწერებისათვის და საცალო ქსელში, როგორც წესი, მათი გამოსვლის დღეს, ავამაღლოთ ამ მიზნით კავშირგაბმულობის საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის დონე.

განვახორციელოთ მოსახლეობისათვის რაციონალური, ყველაზე მოხერხებული **სავაჭრო ქსელის განლაგება** ვაჭრობის მსხვილ საწარმოთა მშენებლობის გზით, ამასთან შევუხამოთ იგი უშუალოდ საცხოვრებელ რაიონებში განლაგებული პატარა, პირველი საჭიროების საქონლის გასაყიდი მაღაზიების ქსელის განვითარებას. უფრო მეტად აღვჭურვოთ ვაჭრობის საწარმოები შრომის მექანიზაციის საშუალებებით, კერძოდ საქონლის დასაფასოებლად. უზრუნველვყოთ საბითუმო ორგანიზაციების მუშაობის ძირეული გაუმჯობესება და რაციონალური განლაგება საცალო ვაჭრობაში საქონლის შეუფერხებელი მიწოდების მიზნით.

გავაუმჯობესოთ სავაჭრო მომსახურების კულტურა, მაქსიმალურად მოხერხებული პირობები შევუქმნათ მოსახლეობას. ყოველნაირად განვავითაროთ ვაჭრობის პროგრესული ფორმები: თვითმომსახურება, კატალოგების ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვა, წინასწარი შეკვეთებით საქონლის შინმიტანა. მნიშვნელოვნად გავადიდოთ საფირმო მაღაზიების ქსელი, მათ შორის მწარმოებელი დარგების სისტემაში მათი ორგანიზაციის გზით. განვახორციელოთ საამანათო ვაჭრობის დაჩქარებული განვითარება.

უპირატესი ტემპით განვავითაროთ **საზოგადოებრივი კვება,** სრულვყოთ მუშაობის ორგანიზაცია, განვამტკიცოთ ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დავნერგოთ პროდუქციის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია კვების მრეწველობის დარგებთან კოოპერაციის, ნახევარფაბრიკატებისა და მზაობის მაღალი დონის პროდუქციის გამომშვებ მსხვილ დამამზადებელ საწარმოთა შექმნის, ამით საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ცენტრალიზებული მომარაგების საფუძველზე. გავზარდოთ სასადილოების ქსელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. მთლიანად უზრუნველვყოთ ხუთწლედის დამლევისათვის სამუშაო ადგილას საზოგადოებრივ კვებაზე მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გავაფართოოთ სწრაფი მომსახურების საწარმოთა სპეციალიზებული ქსელი. მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ კერძების ხარისხი.

**სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში** გავითვალისწინოთ სასაქონლო რესურსების შემდგომი გადიდება. გავაუმჯობესოთ სავაჭრო მომსახურება და საზოგადოებრივი კვება სოფლად. გავადიდოთ საქონლის გამოშვება მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისაგან შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში უფრო აქტიური მოქცევის, გადამუშავებისა და შენახვის ორგანიზაციის ყოველნაირი გაუმჯობესების, აგრეთ-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ვე პირუტყვისა და ფრინველის სუქების, შიდა წყალსატევებში თევზის მოშენებისა და ჭერის, ადგილობრივ სახეობათა ნედლეულის გამოყენების გზით. მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამკურნალწამლო მცენარეთა, თაფლის, კენკრის, კაკლის, ხილის, ბოსტნეულისა და სოკოს დამზადების მოცულობა.

არსებითად გავაუმჯობესოთ მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებაზე სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება. გავაფართოოთ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სახელშეკრულებო ფასებით შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაყიდი მაღაზიების ქსელი. განვავითაროთ საკოლმეურნეო ვაჭრობა, გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობა, დავეხმაროთ მოსახლეობას ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიტანასა და რეალიზაციაში.

გავაძლიეროთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს განვითარებისათვის.

## VIII. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება

**ტრანსპორტის ძირითადი ამოცანებია დროულად, ხარისხიანად და სრულად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ტვირთზიდვა-გადაყვანაზე, გაზარდოს მისი მუშაობის, ეკონომიკური ეფექტიანობა.**

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისათვის უნდა:

უზრუნველვყოთ ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შეთანხმებული განვითარება, მისი ურთიერთმოქმედება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან, სრულვყოთ ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაცია, აღმოვფხვრათ არარაციონალური ტვირთზიდვა-გადაყვანა, შევამციროთ ტვირთის მიტანის ვადები და უზრუნველვყოთ მათი დაცვა-შენახვა;

დავაჩქაროთ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა და დანერგვა, განვავითაროთ ახალ სახეობათა ტრანსპორტი, დავაჩქაროთ მოძრავი შემადგენლობისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა განახლების ტემპი, განვამტკიცოთ მატერიალურ-ტექნიკური და სარემონტო ბაზა;

უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ტვირთზიდვის პროგრესული ხერხები, გავზარდოთ 1,4-1,5-ჯერ ტვირთზიდვის მოცულობა კონტეინერებითა და დაპაკეტებული სახით, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ დატვირთვა-განტვირთვის და სარემონტო სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციის დონე, მოძრაობის უსაფრთხოება, შევამციროთ გარემოზე ტრანსპორტის უარყოფითი ზემოქმედება.

**რკინიგზის ტრანსპორტზე** უზრუნველვყოთ რკინიგზების საექსპლოატაციო მუშაობის, ლიანდაგებისა და მოძრავი შემადგენლობის რემონტისა და მოვლის ორგანიზაციის სრულყოფა, მნიშვნელოვნად გავადიდოთ ლოკომოტივებისა და ვაგონების მწარმოებლობა, სატვირთო მატარებლების საშუალო წონა. გავზარდოთ მატარებლების მოძრაობის სიჩქარე, დავაჩქაროთ ვაგონების ბრუნვა.

გავადიდოთ რკინიგზების გატარებისა და გაზიდვის უნარი, უწინარეს ყოვლისა, იმ მიმართულებებით, რომლებიც ცენტრს უკავშირებენ ურალს, დასავლეთ ციმბირს, ვოლგისპირეთს და ქვეყნის ევროპული ნაწილის სამხრეთს, ყაზახეთსა და შუა აზიას. გავადიდოთ სახარისხებელი, სატვირთო და სამგზავრო სადგურების გადამმუშავებელი უნარი. დავაჩქაროთ სალოკომოტივო და სავაგონე დეპოების, მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი ქარხნების, სათადარიგო ნაწილებისა და საისრე გადასაყვანების წარმოების შემდგომი განვითარება და ტექნიკური განახლება.

საექსპლოატაციოდ გადავცეთ 2,3 ათასი კილომეტრი ახალი რკინიგზის ხაზები, ავაშენოთ სულ ცოტა 4 ათასი კილომეტრი მეორე ლიანდაგები, მოვახდინოთ 8 ათასი კილომეტრი რკინიგზის ხაზების ელექტრიფიკაცია. განვაახლოთ და შევავსოთ ლოკომოტივებისა და ვაგონების პარკი მისი ახალი სერიების უფრო საიმედო და ეკონომიური ლოკომოტივებით, ელექტრო და დიზელ-მატარებლებით, გადიდებული ტვირთამწეობის და ტევადობის სატვირთო ვაგონებით, გაუმჯობესებული კომფორტულობის სამგზავრო ვაგონებითა და მეტროპოლიტენის ვაგონებით. გავზარდოთ საექსპლოატაციო პარკში სპეციალიზებული ვაგონების წილი 1,3-1,4-ჯერ. დავასრულოთ სატვირთო ვაგონების პარკის გადაყვანა გორგოლაჭიან საკისრებზე.

გავზარდოთ ტვირთზიდვის მოცულობა 8-10 პროცენტით და მგზავრთბრუნვა 7-9 პროცენტით. გავადიდოთ ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერება 10-12 პროცენტით.

**საზღვაო ტრანსპორტზე** მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ფლოტის, ნავსადგურებისა და გემთშემკეთებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება. განვაგრძოთ ნავსადგურებისა და ქარხნების განვითარება. განვაახლოთ ფლოტი, შევავსოთ იგი დიდმწარმოებლური ეკონომიური სპეციალიზებული გემებით. განვავითაროთ საყინულმჭრელო და საყინულმჭრელო-სატრანსპორტო ფლოტი. გავზარდოთ ტვირთზიდვა კონტეინერებითა და პაკეტებით, ლიხტერმზიდი და საბორნე გემებით. გავადიდოთ საგარეო-სავაჭრო ტვირთზიდვის ეფექტიანობა.

**სამდინარო ტრანსპორტზე** გავადიდოთ ტვირთზიდვის მოცულობა 9-11 პროცენტით. უზრუნველვყოთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის მდინარეებსა და მცირე მდინარეებზე ტვირთზიდვის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი. განვავითაროთ ტვირთზიდვა დიდტვირთიანი საბიძგებელი შემადგენლობებით, „მდინარე—ზღვის" ტიპის შერეული ნაოსნობის გემებით. გავახანგრძლივოთ გარანტირებული ნავიგაციის პერიოდი მაგისტრალურ მდინარეებზე.

განვაახლოთ სამდინარო ფლოტი, აღვჭურვოთ იგი ეკონომიური არათვითმავალი გემებით, ბუქსირებით, შერეული ნაოსნობის გემებითა და კომფორტული სამგზავრო გემებით. განვაგრძოთ ნავსადგურების, გემთშემკეთებელი ქარხნების განვითარება და რეკონსტრუქცია, უწინარეს ყოვლისა, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში. არსებითად გავაუმჯობესოთ სამდინარო გემების, ნავსადგურებისა და ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება.

**საჰაერო ტრანსპორტზე** დავიწყოთ ახალი დიდეფექტიანი მაგისტრალური სამგზავრო თვითმფრინავებისა და საშუალო ტვირთამწეობის სატვირთო თვითმფრინავების ექსპლოატაცია. აღვჭურვოთ სამოქალაქო ავიაცია საჰაერო გემებით არქტიკისა და ანტარქტიკის პირობებში, ადგილობრივ საჰაერო ხაზებზე, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და სპეციალურ სამუშაოებზე გამოყენებისათვის. განვაგრძოთ საჰაერო მიმოსვლის მართვის ერთიანი სისტემის სრულყოფა, დავაჩქაროთ შესაბამისი ავტომატიზებული სისტემების დანერგვა. გავადიდოთ მგზავრთბრუნვა 17-19 პროცენტით, შევამციროთ სათბობის ხვედრითი ხარჯვა 3-5 პროცენტით.

**საავტომობილო ტრანსპორტზე** გავაძლიეროთ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა და, უწინარეს ყოვლისა, მისაბმელებისა და ნახევრად მისაბმელების ფართოდ გამოყენების, ავტომობილების არამწარმოებლური მოცდენების, ცარიელი გარბენებისა და არარაციონალური გადაზიდვა-გადაყვანის შემცირების გზით. განვავითაროთ და სრულვყოთ ცენტრალიზებული ტვირთზიდვა. უზრუნველვყოთ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის უპირატესი განვითარება.

გავაუმჯობესოთ საავტომობილო პარკის სტრუქტურა. გავადიდოთ 1990 წელს დიზელის ძრავიანი ავტომობილების მიერ განხორციელებული ტვირთბრუნვის წილი 60 პროცენტამდე. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ გაზის ბალონებიანი ავტომობილების გამოყენება, დავაჩქაროთ გაზგასაწყობი სადგურების მშენებლობა. უზრუნველვყოთ ბენზინისა და დიზელის სათბობის ეკონომია 1990 წელს 1985 წელთან შედარებით 18-20 პროცენტის ოდენობით. შევავსოთ ავტოსაწარმოები დიდი ტევადობისა და გადიდებული კომფორტულობის ავტობუსებით. გავაფართოოთ აგრეგატული მეთოდით ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რემონტი.

გავზარდოთ ტვირთზიდვა 18-19 პროცენტით და საერთო სარგებლობის საავტობუსო პარკის მგზავრთბრუნვა — 14-16 პროცენტით.

კიდევ უფრო განვავითაროთ **საგზაო მეურნეობა,** და უწინარეს ყოვლისა, სოფლად. ავაშენოთ და განვაახლოთ ხუთწლეულში 167 ათასი კილომეტრი მყარსაფარიანი საავტომობილო გზები; მათ შორის 75 ათასი კილომეტრი საერთო სარგებლობის გზები და 92 ათასი კილომეტრი შიდასამეურნეო დანიშნულების გზები სოფლად. დავასრულოთ ძირითადად 1990 წელს რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური კარმიდამოების დამაკავშირებელი საავტომობილო გზების მშენებლობა, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. არსებითად გავაუმჯობესოთ საავტომობილო გზების საექსპლოატაციო თვისებები, მათი აღჭურვა მგზავრთა და მძღოლთა მომსახურებისათვის საჭირო ობიექტებით, ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების პუნქტებით.

**მილსადენ ტრანსპორტზე** არსებითად გავზარდოთ გაზსატრანსპორტო ქსელებისა და ნავთობპროდუქტსადენების, მათგან მომხმარებლებამდე სარინების მშენებლობა. გავაძლიეროთ მადნის კონცენტრატებისა და ქვანახშირის მილსადენი ჰიდროტრანსპორტის გამოყენების სამუშაოები.

უზრუნველვყოთ **სამრეწველო ტრანსპორტის** შემდგომი კომპლექსური და პროპორციული განვითარება. გავაფართოოთ კონვეიერული, პნევმოკონტეინერული, ბაგირკიდული და სხვა უწყვეტი და სპეციალიზებულ სახეობათა სამრეწველო ტრანსპორტის გამოყენება.

გავადიდოთ **კავშირგაბმულობის** მომსახურების მოცულობა 26-28 პროცენტით. განვაგრძოთ ქვეყნის კავშირგაბმულობის ერთიანი ავტომატიზებული ქსელის განვითარება და მუშაობის საიმედოობის გადიდება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ბაზაზე.

## IX. კაპიტალური მშენებლობა

**კაპიტალური მშენებლობის ძირითადი ამოცანაა სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების შექმნა და დაჩქარებული განახლება, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის, სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის კარდინალური გადიდება.**

გავზარდოთ ხუთწლეულში კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში 18-21 პროცენტით და საიჯარო სამუშაოთა მოცულობა — 15-16 პროცენტით.

გავადიდოთ **კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა,** სრულვყოთ მათი კვლავწარმოებითი და ტექნოლოგიური სტრუქტურა. მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსები მოვახმაროთ, უწინარეს ყოვლისა, მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის განმსაზღვრელი ობიექტების მშენებლობას.

უზრუნველვყოთ მეთორმეტე ხუთწლედიდან ობიექტების მშენებლობა და ამოქმედება ნორმატიულ ვადებში. მნიშვნელოვნად შევამციროთ ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობა, სამშენებლო მარაგნამეტისა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა გავუთანაბროთ ნორმატიულ დონეს. არსებითად შევამციროთ დაუდგმელი მოწყობილობის მარაგი. საწარმოო ობიექტების მშენებლობას შევუდგეთ მხოლოდ მაშინ, თუ მთლიანად გამოვიყენებთ მოქმედ საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობებს და სავარაუდო მშენებლობის რაიონებს უზრუნველვყოფთ შრომითი რესურსებით, აგრეთვე თუ ავითვისებთ ახალ რაიონებს და იმ შემთხვევებში, როცა ეს საჭიროა პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის. შევამციროთ მშენებლობის ღირებულება ერთეულ ასამოქმედებელ სიმძლავრეზე გაანგარიშებით. არსებითად გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი.

განვახორციელოთ საწარმოო დანიშნულების ობიექტების კომპლექსური მშენებლობა, განუხრელად უზრუნველვყოთ პროექტებით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დროული აგება და ამოქმედება.

განვახორციელოთ **სამშენებლო წარმოების შემდგომი ინდუსტრიალიზაცია,** ამასთან თანამიმდევრულად გადავაქციოთ იგი ქარხანაში დამზადებული ელემენტებისაგან ობიექტების აგების ერთიან სამრეწველო-სამშენებლო პროცესად. გადავიდეთ მშენებლობებისათვის გამსხვილებულ ბლოკებად საინჟინრო და ტექნიკური მოწყობილობის კომპლექტურ მიწოდებაზე. დავაჩქაროთ პროგრესული ტექნოლოგიის, იმ მანქანებისა და მექანიზმების სისტემების შექმნა და დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას, მეტადრე მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის პირობებში. მოპირკეთების სამუშაოებზე ტრადიციული შრომატევადი პროცესები შევცვალოთ თანამედროვე ინდუსტრიული მეთოდებით. დაახლოებით 25 პროცენტით შევამციროთ ხელით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა. არსებითად გავზარდოთ სამშენებლო სამინისტროების საწარმოებში სპეციალიზებული სამშენებლო ტექნიკის წარმოება.

გავაუმჯობესოთ სამშენებლო მასალების სტრუქტურა, გავაფართოოთ ეფექტიან სახეობათა ლითონის ნაგლინის, პლასტმასების, ფისების, პოლიმერების, პროგრესული მერქნის ნაწარმის, კერამიკული და სხვა არალითონის მასალების გამოყენება.

გავაუმჯობესოთ **სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია.** განვაგრძოთ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების გამსხვილების, მართვის ზედმეტი რგოლების შემცირების კურსი, გავაფართოოთ სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების დამოუკიდებლობა და გავზარდოთ მათი პასუხისმგებლობა სიმძლავრეებისა და ობიექტების დროული ამოქმედებისათვის, სამეურნეო საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებისათვის. უფრო ფართოდ დავნერგოთ შრომის მოწინავე ფორმები და მეთოდები. განვავითაროთ ბრიგადული იჯარა, გავამსხვილოთ ბრიგადები, სრულვყოთ მათი შრომის ორგანიზაცია. გავზარდოთ სამშენებლო ორგანიზაციების მობილურობა უკაცრიელ და დაშორებულ რაიონებში ობიექტების უფრო მოკლე ვადაში აგებისათვის.

გავაძლიეროთ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სამშენებლო პროდუქციის მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის. გავზარდოთ მათი დაინტერესება მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებითა და რეკონსტრუქციით.

კიდევ უფრო სრულვყოთ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე.** გავაუმჯობესოთ მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი, გავაძლიეროთ ამისათვის საპროექტო ორგანიზაციების, ექსპერტიზის ორგანოების პასუხისმგებლობა. პროექტებში გავითვალისწინოთ პროგრესული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, რესურსდა ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის, ეკონომიური მოცულობით-საგეგმარებელი გადაწყვეტების, კონსტრუქციების, მასალების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ფართო გამოყენება, ამასთან თანამიმდევრულად შევამციროთ ერთეულ პროდუქციაზე მატერიალური, სათბობ-ენერგეტიკული და შრომითი რესურსების ხარჯვა. ამ საფუძველზე შევამციროთ მეთორმეტე ხუთწლედის მშენებლობათა პროექტებში მშენებლობის, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ხვედრითი მაჩვენებლები საშუალოდ სახალხო მეურნეობაში 4-5 პროცენტით.

გავაუმჯობესოთ არქიტექტურული და ქალაქსამშენებლო გადაწყვეტების ხარისხი. განვავითაროთ საპროექტო და სამიებო ორგანიზაციების სპეციალიზაცია, გავაძლიეროთ საავტორო ზედამხედველობა. უფრო ფართოდ დავნერგოთ სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა. გავზარდოთ მშენებლობაში შრომის ნაყოფიერება 15-16 პროცენტით.

## X. სოციალური განვითარება, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

**უზრუნველვყოთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება.** გავაძლიეროთ სოციალურ ღონისძიებათა ზემოქმედება წარმოების განვითარებასა და ეფექტიანობის ზრდაზე.

თანამიმდევრულად ავამაღლოთ მოხმარების დონე და სრულვყოთ მისი სტრუქტურა, გავაუმჯობესოთ კვების პროდუქტებით და არასასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგება. ხუთწლეულში საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გავადიდოთ 18-22 პროცენტით.

გავზარდოთ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური **ხელფასი 13-15 პროცენტით; ანუ 215-220 მანეთამდე.** გავადიდოთ შრომის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანობა, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათს შრომითს წვლილს, გადაჭრით აღმოვფხვრათ გათანაბრების ელემენტები, გავაძლიეროთ მუშაობაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა.

გავაუმჯობესოთ ხელფასის ოდენობის თანაფარდობა სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, აგრეთვე მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, ამასთან გავითვალისწინოთ შესასრულებელ სამუშაოთა სირთულე და პირობები. გავზარდოთ საინჟინრო შრომის საზოგადოებრივი აღიარება და პრესტიჟულობა. ავამაღლოთ ოსტატების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების როლი და ავტორიტეტი, გავაძლიეროთ მათი შრომის, მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მატერიალური და მორალური სტიმულები.

გავადიდოთ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ეტაპებად, საჭირო პირობების შექმნისა და რესურსების გამონახვის კვალობაზე, მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები. დავამთავროთ მასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკების ხელფასის გადიდების დაწყებულ ღონისძიებათა განხორციელება, დავიწყოთ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ხელფასის ეტაპობრივი მომატება. სრულვყოთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, გავაძლიეროთ მათი ხელფასის კავშირი ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის შედეგად მიღებულ ეფექტთან.

სრულვყოთ ხელფასის რაიონული რეგულირება.

გავაძლიეროთ მეორე და მესამე ცვლის სამუშაოებზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური წახალისება, გავუფართოოთ ამ მუშაკებს შეღავათები და უპირატესობანი საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე.

მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ შრომის ნორმირება, ამასთან უზრუნველვყოთ, რომ იგი მჭიდროდ დაუკავშირდეს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმების სრულყოფისათვის, სამუშაო ადგილების ატესტაციისათვის მიმდინარე მუშაობას. გავაფართოოთ ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების გამოყენება, სისტემატურად გადავსინჯოთ ისინი, ამასთან გავითვალისწინოთ ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის დანერგვა.

**უზრუნველვყოთ კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდება** 18-20 პროცენტით, მისი ზრდა დავუკავშიროთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მის ხარისხსა და წარმოების ეფექტიანობას.

**გავზარდოთ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები** 20-23 პროცენტით, რაციონალურად გამოვიყენოთ ისინი სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. სრულვყოთ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების ფორმები. იმ შრომითს კოლექტივებს, რომლებიც მაღალ შედეგებს აღწევენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში, შევუქმნათ უპირატესი შესაძლებლობანი ბინაზე, დასვენების პირობების გაუმჯობესებაზე, სკოლამდელ დაწესებულებებსა და სხვა სოციალურ სიკეთეებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

**გავუფართოოთ დახმარება ბავშვებიან ოჯახებს, გავაუმჯობესოთ ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.** ეტაპობრივად, ქვეყნის რაიონების მიხედვით, გავზარდოთ დედების ნაწილობრივხელფასიანი შვებულების ხანგრძლივობა შვილის მოსავლელად. განვავითაროთ ფეხმძიმე ქალებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული პროფილაქტორიუმების ქსელი.

გავუფართოოთ ახალგაზრდა ოჯახებს შეღავათები და უპირატესობანი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესვლისა და ინდივიდუალური სახლების მშენებლობის დროს.

უახლოეს წლებში გადავჭრათ სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვების უზრუნველყოფის პრობლემა. გავაუმჯობესოთ იქ ბავშვების აღზრდის პირობები. ავაშენოთ დაახლოებით 3 მილიონი ბავშვისათვის გათვალისწინებული სკოლამდელი დაწესებულებები. განვაგრძოთ გახანგრძლივებული დღის სკოლების (ჯგუფების), პიონერთა ბანაკების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების (სახლების), სპორტული სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ქსელის განვითარება.

გავაძლიეროთ ზრუნვა ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, შრომისუუნარო მოქალაქეებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის. **გავაუმჯობესოთ საპენსიო უზრუნველყოფა.** კვლავაც გავუდიდოთ ასაკისა და ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობა მუშა-მოსამსახურეებს, წინათ დანიშნული პენსიები — კოლმეურნეებს. გავაუმჯობესოთ პენსიონერთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. გავაფართოოთ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მიერ მარტოხელა ხანდაზმული და შრომისუუნარო მოქალაქეთა შინ მომსახურება. გავზარდოთ ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების ქსელი, ავამაღლოთ მათი კეთილმოწყობის დონე, გავზარდოთ ამ სახლ-ინტერნატებში კვების, მედიკამენტებისა და სხვა საჭიროებებისათვის განკუთვნილი ხარჯების ნორმები. არსებითად გავაუმჯობესოთ ამ დაწესებულებათა მუშაობის ხარისხი.

განვაგრძოთ სახელმწიფო სესხების დაფარვა.

თანამიმდევრულად განვახორციელოთ **საცალო ფასების პოლიტიკა** მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანების შესაბამისად. სრულვყოთ სახელმწიფო საცალო ფასებისა და ტარიფების სისტემა, უფრო სრულად ავსახოთ მათში საზოგადოებრივად საჭირო ხარჯები, ნაწარმისა და მომსახურების ხარისხი და სამომხმარებლო თვისებები. უზრუნველვყოთ სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული თანაფარდობა. შევამციროთ ცალკეული საქონლის ფასები მისი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების, საჭირო სასაქონლო და საფინანსო რესურსების დაგროვების კვალობაზე. განვახორციელოთ ფასების დისციპლინის დაცვისადმი მკაცრი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი.

გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების **საბინაო პირობები.** ავაშენოთ 565-570 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გავზარდოთ ახალი ეკონომიური ტიპობრივი პროექტებით უფრო სრულყოფილად დაგეგმარებულბინებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. უზრუნველვყოთ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების კომპლექსური ხასიათი.

მნიშვნელოვნად გავაფართოოთ იმის შესაძლებლობანი, რომ გაუმჯობესდეს მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები საბინაო მშენებლობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდების სახსრების ხარჯზე, ფონდებისა, რომლებიც ყალიბდება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა შრომითი წვლილის შესაბამისად.

ხელი შევუწყოთ კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაჩქარებულ განვითარებას. გავუფართოოთ მშრომელებს შესაძლებლობანი, რომ შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში და საკუთარი სახსრებით, კრედიტისა და საწარმოთა ფონდების ხარჯზე განახორციელონ ინდივიდუალური მშენებლობა. დაეხმარონ მათ საწარმოები და ორგანიზაციები.

უზრუნველვყოთ ახლად ასათვისებელ რაიონებში, მეტადრე ციმბირის, ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა პრიორიტეტული გამოყოფა.

განვახორციელოთ სოფლად ბინების მშენებლობის გადიდების ღონისძიებანი. საჭირო პირობები შევუქმნათ სოფლად ახალგაზრდობისა და კვალიფიციური კადრების დამკვიდრებას.

**განვავითაროთ კომუნალური მეურნეობა.** გავაფართოოთ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გაზიფიკაცია, გავზარდოთ მათი უზრუნველყოფა ცენტრალიზებული თბო-და წყალმომარაგებით, გავაუმჯობესოთ მათი კეთილმოწყობა, გამწვანება და სანიტარიული მდგომარეობა. უფრო ფართოდ დავნერგოთ კეთილმოწყობის სამუშაოებში მოსახლეობის მონაწილეობა.

**დღენიადაგ გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და დასვენების პირობები.** გავაძლიეროთ ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური მიმართულება, გავაუმჯობესოთ სამედიცინო მომსახურების ხარისხი და უზრუნველვყოთ მთელი მოსახლეობის ყოველწლიურ დისპანსერიზაციაზე თანდათანობითი გადასვლა.

განვავითაროთ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი მრავალპროფილიანი და სპეციალიზებული საავადმყოფოების, საავადმყოფო, პოლიკლინიკური და სამკურნალო-დიაგნოსტიკური კორპუსების მშენებლობის გზით. განვაგრძოთ ცენტრალური რაიონული საავადმყოფოებისა და ამბულატორიების მშენებლობა სოფლის რაიონების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. უპირატესი ტემპით განვავითაროთ ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ქსელი. ხუთწლეულში ავამოქმედოთ 350 ათასი საწოლისათვის გათვალისწინებული საავადმყოფოები და ცვლაში 900 ათასი კაცის მიღებისათვის გათვალისწინებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი. განვახორციელოთ მოქმედ სამედიცინო დაწესებულებათა რეკონსტრუქცია. გავაუმჯობესოთ სამკურნალწამლო საშუალებებით, თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო მოწყობილობითა და სამედიცინო ტექნიკით ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა უზრუნველყოფა. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ კოლექტივების შრომითი მეცადინეობით შექმნილი საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდები ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისა და განვითარებისათვის.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

(„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია)

რედაქტორი ბ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06396 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14